ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ლევან ხაბეიშვილი: „ქალაქს პრობლემა არა ოპოზიციასთან, არამედ, თბილისელებთან აქვს“

გვ.2



25 დეკემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი





ოთხშაბათი, 26 დეკემბერი, 2018 №306 (7851) ფასი: 60 თეთრი

# ლია მუხაშავრია: „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე გახდება“



ეს არის უკონტროლო ბოროტება, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ძალიან კარგად დაგეგმილი, უკვე უკონტროლო ბოროტება. თუ ხელისუფლებამ ახლა მაინც არ მიიღო გადამჭრელი ზომები, მაშინ ეს ქვესკნელში ჩაიტანს არა მხოლოდ პოლიტიკურ ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფოს.

გვ.4





## ზაზა ხატიაშვილი: „სააკაშვილის შექმნილ ჩინჩალაძეებთან ივანიშვილმა ბინძური გარიგება დადო“

გვ.2



## ჯონდი ბაღათურია: „ვალების განულებით მხოლოდ ბანკებმა იხეირეს“

„ამ ყველაფრის სქემას დეტალურად წარმოვადგენ“

გვ.6



## „ვფიქრობ, ზვიად გამსახურდია იმ სახლში არ მოუკლავთ, ის იქ „მიიტანეს“

გვ.3

ნინო ნიშნიანიძე: „გაუგებარია, რატომ ამბობს ბესარიონ გუგუშვილი დაკითხვაზე უარს“



### სამართალი

გვ. 7

პოლიციამ დეპუტატი გაჩიანში ნარკოტიკების სამალავთან დააკავა?

შსს ამ ინფორმაციას უარყოფს





„მამა იჭერდა ლექსოს და შვილი უკნიდან ჩეხდა“

გიორგი და ნიკოლოზ აბულაძეები საქართველოდან გაქცევის დროს დააკავეს





თბილისში 31 წლის მამაკაცი საკუთარ ავტომობილში დაჭრეს

სამტრედიასთან 11 წლის გოგონას სამხედრო სერჟანტი ა.ჩ. დაეჯახა

თავდაცვის სამინისტროს განცხადება



ISSN 1987-9385

5 აუდიტის სამსახური: „ოზურგეთში მიწები უკანონოდ და იაფად იყიდებოდა“

4 მეტრო, შესაძლოა, გაჩერდეს?

5 მირიან მირიანაშვილი: „ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ტრამპის წერილი დამალა და გვიან გამოაჩინა“

6 არმაზ თავაძე: „ხელისუფლების ბიზნესის მიმართ მიდგომები მოსახლეობას გაალატაკებს“

# ზაზა ხატიაშვილი: „სააკაშვილის შექმნილ ჩინჩალაძეებთან ივანიშვილმა ბინძური გარიგება დადო“

იაგო ნაცვლიშვილი



**24 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაეს სასამართლოში წარსადგენ მოსამართლეთა 10 კანდიდატურა დაასახელა. მათ შორის არიან ის მოსამართლეები, რომელთა მიმართაც ერთ-ერთი ყველაზე მეტი კითხვის ნიშანია — მიხეილ ჩინჩალაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, გიორგი მიქაუტაძე და სხვები. საბჭომ კანდიდატები ისე დაასახელა, რომ მათი გვარები საიტზეც კი არ განუთავსებია.**

ალნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ადვოკატთა ასოციაციის ყოფილ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილს ესაუბრა.

***— „ქართული ოცნებისგან“ მწვანე შუქის ანთების გარეშე იუსტიციის საბჭო მიიღებდა თუ არა ასეთ გადაწყვეტილებას, რაც მიიღო?***

— ეს არ მოხდებოდა „ოცნების“ მწვანე შუქის ანთების გარეშე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, რომ როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მიხეილ ჩინჩალაძე არ მიდიოდა სახლში, დამიჭერენო. ჩინჩალაძეები იყვნენ სააკაშვილის რეჟიმის საყრდენები სასამართლო სისტემაში. „ოცნების“ ყველაზე დიდი დაპირება სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრება და მურუსიძე-ჩინჩალაძისაგან სასამართლო სისტემის გაწმენდა იყო.

როდესაც მე ქუჩაში ვიდექი და ვიძახდი, რომ არ შეიძლება ჩინჩალაძე და მურუსიძე, ფაქტობრივად, მარტო ვრჩებოდი და იუსტიციის საბჭოსთან აქციებზე 30-50 კაცი მოდიოდა. ამიტომ ვამბობდი, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება გაურიგდა ჩინჩალაძეს, რადგან მათ არანაირი რესურსი არ აქვთ, მოიგონ არჩევნები.

***— არჩევნებთან რა კავშირშია?***

— არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ეს ხალხი იქნება იმის გარანტი, რომ არც ერთი საარჩევნო ხმა არ გაბათილდება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ სასამართლოში შეიტანა საკმაოდ დასაბუთებული საჩივრები, რომ მას ჰქონდა ბევრად მეტი ხმა, მაგრამ მოხდა გაყალბება, მაგრამ სასამართლომ არც ერთი ხმა არ გადათვალა, რაც, ჩემი აზრით, გარიგების ნაწილი იყო. ამან ბიძინა ივანიშვილის რეჟიმს ხელისუფლებაში დარჩენის შანსი მისცა.

იგივე იქნებოდა ამ შემთხვევაშიც, რომ წასულიყო სასამართლო დავები, ამიტომ საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც თვითონ მურუსიძეებს აძლევს უფლებას, რომ თავის თავი წარადგინონ, ეს „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა. როდესაც პრეზიდენტს წაართვეს უფლება, რომ უზენაეს სასამართლოს წევრები წარედგინა, ეს უფლება მისცეს ოდიოზურ იუსტიციის საბჭოს, რომლის წინააღმდეგაც მთელი ქვეყანა ქუჩაში ვიდექით და ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, როდესაც ხელისუფლებაში მოვალ, ამ სისტემას შევცვლიო, მაგრამ პირიქით მოხდა. მათ მისცეს კიდევ უფრო მეტი უფლებები, ვიდრე მას ეს ჰქონდა.

როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსული ძალა უფლებას აძლევს მურუსიძეებს, რომ თვითონ წარადგინო თავისი თავი. ეს არის ბინძური გარიგების ნაწილი, რომელიც უკავშირდება „ოცნების“ ხელისუფლებაში უკანონოდ დარჩენას.

***— ანუ ორივე მხარეს აწყობს ერთმანეთი?***

— დიახ. ბიძინა ივანიშვილისთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ ხელისუფლებაში დარჩეს. ვნახეთ წლევანდელი არჩევნები, რომელმაც დაადასტურა, რომ ყალბდება.

***— ამ ვითარებიდან გამოსავალს ვერ ხედავთ?***

— გამოსავალი იმაში არსებობს, რომ მოხდეს სრული პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება ივანიშვილის ჯგუფის წინააღმდეგ.

***— ანუ ერთადერთი გამოსავალი რევოლუციური გზაა?***

— აბა, სხვანაირად გამორიცხულია. ივანიშვილმა საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიტაცა, საპრეზიდენტო არჩევნები მიიტაცა. გამოხვალ ქუჩაში, დაგიჭერენ, გეუბნებიან, რომ შენ კონსტიტუციას არღვევ.

***— ხომ არ ელოდებით, რომ უზენაესის კანდიდატებად ამ პირების დასახელება შესაძლოა გახდეს მასობრივი საპროტესტო მუხტის საფუძველი?***

— არა მგონია. ივანიშვილმა საკონსტიტუციო უმრავლესობაც და საპრეზიდენტო მანდატიც ჯიბეში ჩაიდო. უპრეცედენტო რამე გააკეთეს, გამოვიდა პრემიერი და ვალებს ჩამოგაწერთო, რაც, ჩემი შეფასებით, სისხლის სამართლის დანაშაული და ამომრჩევლის მოსყიდვაა. ელემენტარულად, ეს არჩევნები არალეგიტიმური იყო და ამას არავინ წერს, თვით ისეთი ორგანიზაციებიც კი, როგორიც საია, სამართლიანი არჩევნები და საერთაშორისო გამჭვირვალობაა.

მათ ჰყავდათ დამკვირვებლები და ნახეს, რომ არჩევნები არალეგიტიმური იყო. ამ სამმა ორგანიზაციამ უნდა დაწეროს აუცილებლად, რომ არჩევნები არალეგიტიმური იყო. არ შეიძლება, მას ლეგიტიმური შეფასება მიეცეს, რაც არ უნდა მხარე ეძახონ მათ. ვნახეთ ვიდეომასალები, როგორ ყრიან. რა უნდა დაუპირისპირო ამას?! 1.5 მილიონი ადამიანის მოსყიდვა თუ არ ეყოფა ივანიშვილს, 2.5 მილიონს მოისყიდის და ა.შ.

მეორე მხარეს არის ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც შექმნა ჩინჩალაძე. მივდივართ ჩვენ მეორე უბედურებასთან. ერთი უბედურებაა ეს ჩინჩალაძე, რომელიც ნაცმოძრაობამ შექმნა, ხოლო ივანიშვილის ხელისუფლებამ ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. მეორე მხარეს კი არის ეს ნაციონალური მოძრაობა, რომელიც, თუ ხელისუფლებაში მოვა, ეტყვის, რომ ძველი დრო გავიხსენოთ, ანუ არ არის ისეთი ოპოზიცია, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება გვერდში დაუდგება.

***— თეორიულ შანსსაც ვერ ხედავთ, რომ უზენაესის კანდიდატებს მხარი არ დაუჭიროს პარლამენტმა?***

— მაშინ ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს. ხალხი ქუჩაში არ გამოვა. მას ვერ გაუგია, რომ სასამართლო სისტემის ჩინჩალიზაცია უფრო დიდი მტრობაა ქვეყნისთვის, ვიდრე სააკაშვილი და ივანიშვილი ერთად. ვერ გაუგია ხალხს, რომ საქართველოს განვითარება დამოკიდებულია სასამართლოს განვითარებაზე. თუ სასამართლო არ იქნება, ინვესტიცია არ შემოდის. ინვესტორმა იცის, რომ საქართველოში სასამართლო არ არსებობს. მაგალითად, ესტონეთი ათეულშია სასამართლოს დამოუკიდებლობის მხრივ.

***— იმ გარემოებას როგორ ხსნით, რომ საიტზეც კი არ გამოაქვეყნეს სია, ვინ იქნებოდნენ კანდიდატები?***

— მათ მიიღეს „ოცნებისგან“ კარტბლანში მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ცვლილება შევიდა და მურუსიძე-ჩინჩალაძეებს მისცეს თავიანთი საქმის წარმართვის უფლება. მაშინ ხმა არავინ ამოიღო, როდესაც მე ვყვიროდი. როდესაც ურემი გადაბრუნდება, ყველა მერე იღებს ხმას.

როდესაც ტარდება საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც ძლიერდება იუსტიციის საბჭო, ორგანო, რომლის მიმართაც ყველაზე მეტი კითხვაა და ამ დროს ხალხი სახლში ზის და უყურებს ამას, რა უნდა ვთქვა?! რაც დაიმსახურა საზოგადოებამ, ის მიიღო. მათ მიიღეს ჩინჩალაძის სასამართლო.

***— საერთაშორისო საზოგადოება ვერ ჩაერევა პროცესში, მაგრამ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს იქნება შემაკავებელი ფაქტორი, რომელსაც უსმენს ხელისუფლება?***

— საერთაშორისო საზოგადოებას თუ უნდა საქართველოს სიკეთე, საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმურად უნდა ცნონ. მაშინ ივანიშვილი ველარ გაბედავს ჩინჩალაძის სასამართლოში მიყვანას და მიხვდება, რომ მისი მმართველობა დამთავრდა და დაიწყება მისი გასამართლების პროცესი.

ვიმეორებ, საიამ, გამჭვირვალობამ და სამართლიანმა არჩევნებმა გადადგან გმირული ნაბიჯი და თქვან, რომ არჩევნები არალეგიტუმურია, რაც არ უნდა მხარე ეძახოს კალაძემ, რომელიც ნაცმოძრაობის ერთ-ერთი სახე თავადაც იყო და სიტუაციის ცვლილებასთან ერთად იცვლება.

***— მაგრამ ამით რა შეიცვლება იმ დროს, როცა ამბობთ, რომ მეორე მხარეს არის ჩინჩალაძე-მურუსიძეების შემქნელი ნაცმოძრაობა?***

— ამ ვითარებაში ველარ იტყვის საერთაშორისო საზოგადოება, რომ არჩევნები დემოკრატიულ და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა. ამით შეიცვლება ის, რომ ივანიშვილს აიძულებენ, პროპორციული არჩევნები ჩაატაროს, იყოს გამჭვირვალე და საკანონმდებლო ცვლილებები დაიწყოს.

ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი. ახლა ვაჭრობა მიდის.

# ლევან ხაბეიშვილი: „კალაძეს პრობლემა არა ოპოზიციასთან, არამედ, თბილისელებთან აქვს“



— ლევან ხაბეიშვილი რომ რეპრესიებზე დასვამს შეკითხვას და რაჭაში მომხდარ დაპირისპირებაზე... ეს არის ნათელი მაგალითი, თუ როგორი არ უნდა იყო ოპოზიცია, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ლევან ხაბეიშვილის კითხვის პასუხად საკრებულოს სხდომაზე განაცხადა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, რაჭაში მომხდარი შემთხვევა პოლიტიკასთან კავშირში არ არის.

— როდესაც ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, გვაჩვენებდნენ, როგორი არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლება, როგორ არ უნდა მართო ქვეყანა. დღეს გვაჩვენებს, როგორი არ უნდა იყოს ოპოზიცია. ადამიანის უბედურება და ის პირადი დაპირისპირება, რაც მოხდა იქ, პოლიტიკასთან არაფერ შუაშია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს იყო ორ ადამიანს შორის დაპირისპირება და მოხდა სამწუხარო ფაქტი. ერთი არის დაჭრილი და მძიმე მდგომარეობაშია. ცხადია, ეს ძალიან მძიმეა, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება და მწუხარება არის ის, რომ ამისთვის პოლიტიკური სარჩულის მიკერებას ცდილობს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, ბატონი ხაბეიშვილი, — განაცხადა კალაძემ.

ლევან ხაბეიშვილმა კახა კალაძეს საკრებულოს სხდომაზე ზუგდიდის მე-6 სკოლის ყოფილი დირექტორის, ია კერზაიას გარდაცვალებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის, ნოდარ ბურდილაძის დაჭრის ფაქტზე ჰკითხა, გრძნობს თუ არა თბილისის მერი მორალურ პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ კალაძეს პრობლემა არა ოპოზიციასთან, არამედ, თბილისელებთან აქვს.

— ვწუხვარ, რომ დეპუტატები არჩევნების გაყალბებაზე კითხვებს გისვამენ. ეს ჩვენი ბრალი არ არის, არჩევნების წინ რომ 3 თვე „ქართული ოცნების“ სპიკერი იყავით, ეს არის პრობლემა. თქვენ კი იცინით, მაგრამ ბატონ ნოდარ ბურდილაძეს იცნობთ? სასიკვდილოდ არის დაჭრილიო. ია კერზაიას შესახებ გსმენიათ რამე? მესმის, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გაქვთ, მაგრამ მორალურ პასუხისმგებლობას არ გრძნობთ? ერთი ქალბატონი გარდაიცვალა და ნოდარ ბურდილაძე სასიკვდილოდ არის დაჭრილი და სიკვდილს ებრძვის. ბაღის პედაგოგები რომ გაათავისუფლეთ, მადლობა უნდა გითხრათ, რომ ამ ადამიანების ჯანმრთელობა შეგრჩათ? ერთი რჩევა მინდა მოგცეთ, თქვენ ჩემთან და ოპოზიციასთან არ გაქვთ პრობლემა, პრობლემა გაქვთ თბილისელებთან. 205 ათასმა კაცმა, იმაზე მეტმა მისცა თქვენს წინააღმდეგ ხმა, ვიდრე თქვენ აგირჩიათ, — განაცხადა ნადირაძემ საკრებულოს სხდომის დატოვებამდე.

# ზურაბ ჭიაბერაშვილი ეკონომიკის მინისტრს: „ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანას როდის დავეწევით?“



— თქვენ რომ ახლა ყოფილიყავით „მაკკენზის“ თანამშრომელი და გელაპარაკათ ისეთ ადამიანებთან, ვისაც საერთოდ წარმოდგენა არ აქვს საქართველოზე, არ ცხოვრობს აქ და არც იცის ქვეყანაში როგორი სიღარიბეა, დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი კარგად არის, — ასე მიმართა საკომიტეტო მოსმენაზე „ევროპული საქართველოს“ წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ეკონომიკის მინისტრს გიორგი ქობულიას. თუმცა, მისი თქმით, რეალურად, იგი არ არის „მაკკენზის“ წარმომადგენელი, იგი საქართველოს ეკონომიკის მინისტრია.

— ყველაზე დიდი პროტესტი გამიჩნდა მაშინ, როდესაც თქვით, რომ 2014, 2017 და 2018 წლებში ჩვენ გვაქვს მაღალი ეკონომიკური ზრდა. „ქართული ოცნების“ პირობებში არის საშუალოდ 4%-იანი ეკონომიკური ზრდა. თქვენ პასუხი უნდა გასცეთ მოსახლეობას ძალიან მარტივ კითხვაზე: ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანას როდის დავეწევით? ამ საშუალო ეკონომიკური 4%-იანი ზრდით ათწლეულები ვერ დავეწევით ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანას. ამ ეკონომიკური ზრდით არ გვყოფნის სახსრები ყველაზე აუცილებელი საკითხების გადასაჭრელად. გვერდი აუარეთ და არ ახსენეთ, რომ რაც კი ამ წლების განმავლობაში დაფინანსდა, სამთავრობო ვალი გაიზარდა. მშპ-სთან მიმართებაში სამთავრობო ვალი 34%-დან ავიდა 43-44%-ზე. ეს არც კი გიხსენებიათ, — განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვფიქრობ, ზვიად გამსახურდია იმ სახლში არ მოუკლავთ, ის იქ „მიიტანეს“

## ნინო ნიშნიანიძე: „გაუგებარია, რატომ ამბობს ბესარიონ გუგუშვილი დაკითხვაზე უარს“

გულიკო ბალაძე

**ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და მისი გამოძიების შესახებ „ახალი თაობა“ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისიის წევრს, სამართლის დოქტორს, პროფესორ ნინო ნიშნიანიძეს ესაუბრა.**

***– ქალბატონო ნინო, როდესაც საქმის მასალებს გაეცანით, რა სურათი დაინახეთ?***

– ეს იყო პრეზიდენტის განზრახ მკვლელობა. აქამდეც უნდა დასჯილიყვნენ როგორც მკვლელობის ორგანიზატორები, ასევე აღმსრულებლები. საჭიროა ნება, მათი დაკითხვა და პასუხისგებაში მიცემა.

***– კონსტანტინე გამსახურდიამ პროკურატურას, საპარლამენტო კომისიის მასალები და დასაკითხი 50 კაცის სია გადასცა.***

– დიახ, მაგრამ თავიდანვე დაშვებული იქნა შეცდომა, როდესაც კომისიას საგამოძიებო სტატუსი არ მიანიჭეს. კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ამ მიზნით შევიდა პარლამენტში. დრო გადის და რაღაცები იკარგება.

***– კომისიამ ყველა ვერ დაკითხა?***

– თითქმის ყველას დაკითხვა მოხერხდა, მაგრამ კომისიას არ ჰქონდა საგამოძიებო სტატუსი და ყველას დაბარება, ისე, როგორც ახლა ხდება სარალიძის საქმეზე, შეუძლებელი იყო.

***– ზვიად გამსახურდია გროზნოდან ზუგდიდში რომ ჩამოფრინდა, შემდეგ როგორ ვითარდება მოვლენები?***

– ბატონი ზვიადი ჩამოვიდა, რადგან მიზანი აფხაზეთის შენარჩუნება იყო. ზვიად გამსახურდიას უნდოდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებულიყო.

***– მის მტრებს უნდოდათ, აფხაზეთის დაცემა ზვიად გამსახურდიასთვის დაებრალებინათ და დააბრალეს კიდეც.***

– ეს ისეთივე ტყუილია, რაც თქმის მომენტშივე კვდება. ზვიადს უნდოდა, აფხაზეთი გადაერჩინა და ტერიტორიული მთლიანობა შეენარჩუნებინა, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მერე მოხდა უმძიმესი ტრაგედია.

შევარდნაძეს კანონმდებლობით უზურპირებული ჰქონდა ხელისუფლების ყველა შტო. სახელმწიფო წყობილების შესახებ კანონი რომ მიიღეს, იქ ეწერა, რომ სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა სახელმწიფო მეთაური. სახელმწიფო მეთაური შევარდნაძე გახლდათ. მას სჭირდებოდა ლეგიტიმაცია. ამიტომ არ სჭირდებოდა ცოცხალი საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

***– ზვიად გამსახურდია ზუგდიდში რომ ჩამოფრინდა, მინიმუმ 50 ათასი კაცი შეიკრიბა. ბოლოს ის აღმოჩნდა სადღაც ტყეში რამდენიმე კაცთან ერთად. საქმე აქამდე როგორ მივიდა?***

– ესეც ისტორიული უბედურებაა. იმდროინდელმა უშიშროების სამსახურმა ყველაფერი გააკეთა, რომ ასე მომხდარიყო. ზვიად გამსახურდიას მარტო დატოვება გათვლილი იყო – მისი მკვლელობა სწორედ ბუნდოვან სიტუაციაში უნდა მომხდარიყო, რომ ერი და მსოფლიოს მოაზროვნე ნაწილი გაურკვეველ სიტუაციაში ყოფილიყო.

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეფუთვა უნდოდათ და შეფუთეს კიდეც. ზვიად გამსახურდიამდე არავის უშვებდნენ, თორემ უამრავ ადამიანს უნდოდა მასთან ყოფნა. მან არ დატოვა საქართველო და მოხდა ტრაგედია.

***– ზვიად გამსახურდიასთან სიცოცხლის ბოლოს მისი დაცვის წევრები და პრემიერი გუგუშვილი იყვნენ. ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ პრეზიდენტი ნაცემიც იყო. ეს თუ ჩანს საქმეში?***

– მე იურისტი ვარ და ფაქტობრივ გარემოებას გეტყვით – საქმეში წავიკითხე დონის როსტოვის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც წერია, რომ ბატონ ზვიადს უფიქსირდება ბოქვენის ძვლის მოტეხილობა. ბოქვენის ძვალი ადვილად არ ტყდება. ნეკნების ყველა ძვალი ჩამტვრეული აქვს. ამიტომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ძვლების სკანირებული ექსპერტიზა და დადგინდეს, მასზე დაზიანებები სიცოცხლეშია მიყენებული თუ სიკვდილის შემდეგ. ამგვარ ექსპერტიზას მსოფლიოს ორ სახელმწიფოში ატარებენ, გერმანიასა და ამერიკაში.

***– ამ საქმეზე კომისიამ ხომ დაკითხა ადამიანები. ისინი არ ამბობენ, ზვიად გამსახურდიას მიმართ ფიზიკურ ზემოქმედებას ჰქონდა თუ არა ადგილი სიცოცხლეში? სიკვდილის შემდეგ ხომ არ იძალადებდნენ?***

– თუ პროკურატურა პირს ისე დაკითხავს, როგორც ცოტნე გამსახურდიამ თქვა – ჰკითხავენ, შენ მოკალი? რა თქმა უნდა, უპასუხებს, არაო. ჯერ თითოეულ საეჭვო პირზე გარკვეული მტკიცებულებები უნდა შეაგროვონ და, მტკიცებულებების ერთობლიობაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს დაკითხვა.

***– მესმის, რომ არ გინდათ, ბევრი რამ წინასწარ თქვათ.***

– მე ერთი რამ ვიცი, ეს არის მკვლელობა, რომელიც ჩადენის მომენტშივე გახსნილია. ასეთ დანაშაულობებს გარკვეული დრო სჭირდება, რომ ბოლომდე გაიხსნას.



***– გამსახურდიასთან ერთად იმყოფებოდნენ დაცვის წევრები და პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი.***

– კი ბატონო, რატომ არ თანამშრომლობს გუგუშვილი გამოძიებასთან? რატომ არ ჩამოჰყავთ? რატომ არ ახდენენ მის ექსტრადიციას? დაცვის წევრები არ იყვნენ პასუხისმგებელი თავისი დაცვის ობიექტზე?!

***– კვალი გუგუშვილამდე მიდის?***

– კვალი მიდის ყველამდე, ვინც მის გარემოცვაში იყო იმ პერიოდში და ვინც იყვნენ ამ მკვლელობის უშუალო მოწმეები. ამიტომ მათ გამოძიებასთან უნდა ითანამშრომლონ. გასაკვირია, რატომ არ თანამშრომლობენ, გამოძიებას ჩვენებას რატომ არ აძლევენ.

გუგუშვილის განმარტებებით გაოცებული ვარ. სანამ საქართველოში კანონიერი ხელისუფლება არ აღდგება, ჩვენებას არ მივცემ, დღეს საქართველოში კანონიერი ხელისუფლება არ არის, ჩვენება რატომ მივცეო. რა ვითარებაშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, იმ ვითარებაში უნდა მისცენ ჩვენება, იმ კანონმდებლობას უნდა დავემორჩილოთ, რაც დღეს მოქმედებს.

***– ადვოკატი და ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ საქმეში გამოკვეთილია რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურების როლი.***

– მათ გარეშე ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ვერ განხორციელდებოდა.

***– თუ ჩვენ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას გარემოცვის როლზე ვისაუბრებთ, შეიძლება ძალიან მშრალად გამოძვრნენ, პირველ რიგში, რუსეთი.***

– როდესაც კონსტანტინე გამსახურდია საგამოძიებო ჯგუფს შეხვდა, მას გადასცა პირთა სია. ისინი, ჯერჯერობით, დაკითხული არ არიან. ამ თვალსაზრისით, ახლა ჩემი მხრიდან რაიმეს თქმა ცოტა უხერხულია.

***– ეს პირები საპარლამენტო კომისიის მიერ გამოკითხული არიან?***

– ყველა არ არის გამოკითხული.

***– საქმეში თუ არიან მოწმეები, რომლებიც მკვლელობას ადასტურებენ?***

– საქმეში მრავალი მტკიცებულებაა. მტკიცებულებათა ერთობლიობით შესაძლებელია ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნა.

***– ვინმესთვის ბრალის წაყენებისთვის მასალა არსებობს?***

– ნამდვილად არსებობს. ამას დადასტურებულად გეუბნებით. ბრალის წაყენება მთავარმა პროკურატურამ უნდა განახორციელოს.

***– ხანდაზმულობის ვადას აგრძელებენ, მაგრამ მხოლოდ ვადის გაგრძელება საკმარისია?***

– ახლა ახალი მოთხოვნაა. კონსტანტინე გამსახურდია სპეციალური პროკურორის დანიშვნას ითხოვს. ამაში პრეზიდენტის შვილებს ვეთანხმები. სპეციალური პროკურორი უნდა იყოს პირველი პრეზიდენტის ოჯახის ნდობით აღჭურვილი, რომელიც ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებას ეცოდინება, გამსახურდია იმ სახლში მოკლეს თუ მიიტანეს. მე ვერ გავერკვიე ამაში. ვფიქრობ, ზვიად გამსახურდია იმ სახლში არ მოუკლავთ, მიიტანეს.

***– ფიქრობთ, რომ ძველ ხიბულაში არ გარდაცვლილა?***

– კი ბატონო, ძველ ხიბულაში არსებულ სახლში ნახეს პრეზიდენტი გარდაცვლილი, მაგრამ გარემოებები გაურკვეველია – როგორ მოხვდა იქ? იქ შესრულდა მისი მკვლელობა თუ შემდგომ მიიტანეს მისი ცხედარი? ეს გასარკვევია და გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

***– წლების განმავლობაში იმ საწოლს რომ აჩვენებდნენ, სადაც ზვიად გამსახურდია აღესრულა?***

**პრეზიდენტ გამსახურდიას ჰქონდა „სტეჩკინი“. ექსპერტებმა დამიდასტურეს, რომ ეს იარაღი 1.200 გრამია. ძალიან მძიმე იარაღია. არ შეიძლება, ამ იარაღით განახორციელო თვითმკვლელობა და შემდეგ იარაღი გულზე დაიდო. ტრაექტორია, ხელის მოძრაობა ისეთია, რომ ეს შეუძლებელია. როგორ შეიძლება, თვითმკვლელმა გაისროლოს იარაღით და შემდეგ ის გულზე დაიდოს?**

– კი, მაგრამ იქ, სადაც ტყვია არ არის ამოღებული. პრეზიდენტს ახლდნენ დაცვის წევრები და გუგუშვილი. დაცვის წევრებს აქვთ სპეციალური განათლება. სპეციალური განათლება თუ არ ჰქონდა, რაღაც ინსტრუქცია ხომ ჰქონდათ მიღებული და ხომ იცოდნენ, რა არის მკვლელობის იარაღი, რომელიც მათ ფრთხილად უნდა აეღოთ და შეენახათ. მკვლელობის იარაღი გამოძიებისთვის ხომ აუცილებლად საჭირო იქნებოდა.

***– თავის მხარეს არსებულ ნატყვიარ საწოლის დაფას რომ აჩვენებდნენ, მაშინ ცხედარი მიტანილი როგორ შეიძლება იყოს?***

– ამის გაკეთება, ფალსიფიცირება არ შეიძლება? სად არის ტყვია, ვაზნა, სად არის მკვლელობის იარაღი.

***– რაღაც პერიოდში ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს იარაღი მანანა არჩვაძეს მიუტანეს. ე.ი. მკვლელობის იარაღი დაკარგულია?***

– ჩემთვის უცნობია ქალბატონ მანანასთვის იარაღის მიტანის ფაქტი. მკვლელობის იარაღი უნდა ერთვოდეს საქმეს.

***– მკვლელობის იარაღი გამქრალია?***

– არ ვიცი, იარაღზე არაფერი მსმენია. მე ვიცი, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას ჰქონდა „სტეჩკინი“. ექსპერტებმა დამიდასტურეს, რომ ეს იარაღი 1.200 გრამია. ძალიან მძიმე იარაღია. არ შეიძლება, ამ იარაღით განახორციელო თვითმკვლელობა და შემდეგ იარაღი გულზე დაიდო. ტრაექტორია, ხელის მოძრაობა ისეთია, რომ ეს შეუძლებელია. როგორ შეიძლება თვითმკვლელმა გაისროლოს იარაღით და შემდეგ ის გულზე დაიდოს?

***– ანზორ ბალუაშვილი იძიებდა ამ საქმეს და საქმე თვითმკვლელობის მუხლით ჰქონდა აღძრული. ეს ფაქტი დღეს მთლიანად გაქარწყლებულია.***

– ბალუაშვილი ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ლიკვიდაციითა და დაპატიმრებებით იყო დაკავებული. მან ვერავის დააჯერა, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. დღეს კონსტანტინე გამსახურდიას დამსახურებით ეს ვერსია მთლიანად გაქარწყლებულია. რატომ უნდა მოეკლა ზვიად გამსახურდიას თავი.

***– ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი რობიზონ მარგველანი ამბობდა, სროლის მომენტში დაცვის წევრები ჩამოძინებული ვიყავითო.***

– მე მინდა ექსკლუზიურად ერთი ამბავი გითხრათ – როდესაც მარგველანი საქართველოში დაბრუნდა, ის მე ჩემს ოჯახში მოვიწვიე. რობიზონ მარგველანმა ხატებთან დაიჩოქა. მაშინ მას არ უთქვამს, ჩამოგვეძინაო.

მე ვუთხარი მარგველანს, თქვენ როგორ შეუწყობდით ხელს ზვიად გამსახურდიას მკვლელობას, ხომ არ ჩაგეძინათ და ახლა ხომ არ გერიდებათ თქმა, ადამიანები ხართ, შეიძლება



ჩაგეძინათ-მეთქი.

როგორც ჩანს, მას ეს ვერსია მოეწონა, რადგან ჩვენი საუბრის შემდეგ ჩნდება ეს ვერსია. მანამდე ჩემთან მარგველანს არ უთქვამს, რომ ჩაძინებულები იყვნენ. ამბობდა, ხატების წინ ვიფიცები, რომ ჩვენ არ გვეძინაო, მაგრამ შემდეგ უცებ ჩნდება ვერსია, რომ დაცვის წევრები ჩაძინებულები იყვნენ.

***– ერთ შეხვედრაზე, სადაც მარგველანი სპეციალურად იყო მიწვეული გამსახურდიას დაღუპვის გარემოებებზე სასაუბროდ, მთხოვეს, მათი საუბარი ჩამეწერა. მაშინ რობიზონ მარგველანმა განაცხადა, დადგება დრო, როცა გმირად შემრაცხავთო. თუ ზვიად გამსახურდია ცოცხალი გამოჩნდებოდა, მართლა გმირი იქნებოდა, მაგრამ ის მკვდარია და რა გმირობაზე საუბრობდა, დღემდე არ მესმის.***

– ამ საქმეში ერთი უცნაური ამბავია. ბობოყვათში მოლაპარაკება რომ ხდებოდა, იმ მოლაპარაკებაში უზენაესი საბჭოს წევრი თენგიზ დიხამინჯია მონაწილეობდა. დიხამინჯიამ მითხრა, ბობოყვათში მოლაპარაკებების დროს, რაღაც მომენტში დავინახე, მარგველანი და მარგიანი კუთხეში ჩუმად საუბრობდნენ. გავგიჟდი, მარგველანი პრეზიდენტთან არ უნდა იყოს, აქ რა უნდაო.

ამიტომ მე მოვითხოვდი მარგიანის დაკითხვას. მარგიანმა თქვა, ლოჯისტიკისთვის ზვიად გამსახურდია საინტერესო იყოო. ლოჯისტიკა მისი დევნა იყო. ამისთვის 50 ათასი დოლარი გამოგვიყვესო. როდესაც დაკითხვის დროს კონსტანტინემ თენგიზ სიგუას უთხრა 50 ათას დოლარზე, სიგუას გაეცინა.

***– სიგუამ ჩვენებაში რა თქვა?***

– სიგუამ თქვა, ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ მაქვსო.

***– გადატრიალებასთან ხომ აქვს კავშირი და არავინ აწუხებს?***

– სიგუა და კიტოვანი პასუხისგებაში რომ არ მისცეს, იქიდან მოდის ჩვენი უბედურება. 2007 წელს პარლამენტმა 1991-92 წლებში მომხდარი ანტისახელმწიფოებრივ სამხედრო გადატრიალებად შეაფასა, მაგრამ მას არ მოჰყოლია სამართლებრივი შედეგები. შეიძლება ქვეყანა ასეთ სამართლებრივ ვაკუუმში ცხოვრობდეს? გადატრიალების ორგანიზატორები უნდა დაეპატიმრებინათ. გამოძიება გადატრიალების ფაქტიდან უნდა დაეწყოთ.

***– მარგველანის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?***

– მე მარგველანის მიმართ ძალიან ბევრი კითხვა მაქვს. ზვიად გამსახურდიას საქმის განზრახ მკვლელობად გადაკვალიფიცირების შემდეგ რატომ დატოვა ქვეყანა და წავიდა? მარგველანმა და დაცვის იმ წევრებმა, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, პასუხი უნდა აგონ.

ჯერ ერთი, პრეზიდენტის მკვლელობის გარემოებები, პირველ რიგში, მათ იციან. თქვან, რა როგორ მოხდა და საქმეს მოფინონ ნათელი. მარგველანის მხრიდან ეს იქნება გმირობა. მარგველანი არ გრძნობს პასუხისმგებლობას ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრების ვაჟა ჭინჭარაულისა და ირაკლი გოგაძის ოჯახის წინაშე?

ვაჟა ჭინჭარაულის ცხედარი მოვძებნეთ, ჩამოვიტანეთ, მოხდა ძვლების გამოკვლევა და თქვეს, გამოფიტულიაო და ამოცნობა ვერ შევძელით. ცხადია, უმძიმეს მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ ყველაფერს სიმართლე სჯობს.

***– ზვიად გამსახურდიასა და მისი თანმხლები პირების დევნა მიმდინარეობდა. საქმეში მდევნელებად ვინ ჩანან?***

– სპეცსამსახურები, კვირაია, იოსელიანი, გულუას რაზმი, „ალფა“ და „ომეგა“ მონაწილეობდნენ პრეზიდენტის დევნაში.

***– „ომეგაც“ მონაწილეობდა?***

– დიახ, მაგრამ უფრო „ალფა“ მონაწილეობდა. დაცვის ორი წევრი, ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე, პრეზიდენტს ჩამოაცილეს, რომლებიც უერთგულესი პიროვნებები იყვნენ.

# ლია მუხაშავრია: „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე გახდება“

ნათია ხურცილავა

**იურისტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.**

***— ქალბატონო ლია, ელოდით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კანდიდატებს შეარჩევდა და უკვე უზენაეს სასამართლოში გაამწესებდა უვადოდ თუ მათ პარლამენტი მხარს დაუჭერს?***

— როდესაც ეს ადამიანები ასეთ კლანურ ურთიერთობას იწყებენ ერთმანეთთან, საშიშნი ხდებიან. ამ ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული, თუ რა რისკზე მიდიან, მაგრამ მიდიან. ამ საბჭოს საქმიანობის გაგრძელება ქვეყანას დააქცევს, ამიტომ იძულებული იქნება ხელისუფლება, რომ რაიმე მოუხერხოს ამ უმაღლეს საბჭოს შემადგენლობას.

მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სამისდღეშჩიოდ მოიპოვონ ადგილები, მათ შორის, უზენაეს სასამართლოში. ეს ძალიან საშიში პროცესი ადრე დაიწყო და ახლა გრძელდება. ხელისუფლებამ ვერც კი გათვალა, თუ სადამდე შეიძლებოდა ეს ყველაფერი მისულიყო. ახლა მიიღო ის, რაც მიიღო. ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა, რაც ახლა ხდება, ხელისუფლებას ეკისრება.

ეს არის უკონტროლო ბოროტება, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ძალიან კარგად დაგეგმილი, უკვე უკონტროლო ბოროტება. თუ ხელისუფლებამ ახლა მაინც არ მიიღო გადამჭრელი ზომები, მაშინ ეს ქვესკნელში ჩაიტანს არა მხოლოდ პოლიტიკურ ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფოს.

***— ხელისუფლებამ წაუყრუა, ვერ გააცნობიერა, რა ხდებოდა?***

— ამ საფრთხის შესახებ ჩვენ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას, მაგრამ მას ვერ წარმოედგინა, ასე უკონტროლოდ რა სიღრმეებს და მასშტაბებს მიაღწევდნენ. ხელისუფლების სათავეში გვყავს ადამიანები, რომელთაც არ ესმით სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების არსი, ამიტომ მათ ნებაზე მიუშვეს ეს ჯგუფი, რომელმაც ძალიან ოსტატურად გამოიყენა ხელისუფლების ეს დაუდევრობა, გულგრილობა. ამიტომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

პირველი ინსტანციიდან დაწყებული, ქვეყნის უზენაესი სასამართლოს ჩათვლით, როგორც მძივები კრიალოსანზე, ისე იქნებიან ჩაწყობილი და ჩამწკრივებული სამიდღეშჩიოდ ის კონკრეტული მოსამართლეები, რომლებიც თავიდან ბოლომდე გააკონტროლებენ ყველა ეტაპზე მიღებულ თუ მისაღებ გადაწყვეტილებებს.



ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მართლმსაჯულება აღარ იფუნქციონირებს. ეს იქნება დაკვეთით, კორუფციით თუ სხვა მოტივით ნაკარნახევი და არა — სამართლის პრინციპითა და კანონის უზენაესობით ნაკარნახევი გადაწყვეტილება.

ეს არის ყველაზე საშიში. კრიტიკულ სიტუაციაში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შედარებით, სასამართლო ხელისუფლება გაცილებით მნიშვნელოვანია. ეს არ გვექნება. უსამართლო ქვეყანაში კი პროგრესი, მშვიდობა და განვითარება უბრალოდ წარმოუდგენელია.

***— შეიძლება პარლამენტმა აიღოს პასუხისმგებლობა და ეს შემადგენლობა არ დაამტკიცოს?***

— თუ პარლამენტს გონიერება ეყოფა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაამტკიცოს.

***— უმრავლესობის მხრიდან კრიტიკული შეფასებები გაკეთდა.***

— სიმართლე გითხრათ, მე ეჭვი მეპარება, რომ პარლამენტში არის ის ხალხი, ვისაც გონიერება ეყოფა და ამ შემადგენლობის დამტკიცებაზე უარს იტყვის. ამიტომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესმა როგორმე ბიძინა ივანიშვილის ყურადღება მიიპყროს, რადგან ვიცით, რომ ის წყვეტს ყველაფერს.

თავად ბიძინა ივანიშვილს უნდა ეშინოდეს ამ კლანის. როდესაც მავანს და მავანს დასჭირდება, ეს კლანი თავად მას გაასამართლებს და მერე მიხვდება, თუ რას ნიშნავს უსამართლო მართლმსაჯულება.

***— შექმნილი სიტუაციიდან რა შეიძლება გამოსავალი იყოს?***

— ივანიშვილმა სასწრაფო წესით უნდა დაავალოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეს შემადგენლობა დაიშალოს. შეჩერდეს ეს სრულიად საშიში და უკონტროლო პროცესი და დაიწყოს სისტემის რეალურ რეფორმასა და რეორგანიზაციაზე ფიქრი.

***— ჯერ კიდევ არის ეს შესაძლებელი?***

— რა თქმა უნდა, სურვილისა და პოლიტიკური ნების შემთხვევაში ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ, პირველ რიგში, ეს საფრთხე უნდა დაინახონ და უნდა გააცნობიერონ.

***— ქალბატონო ლია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია. გამორიცხავთ, რომ სწორედ წარდგენილი კანდიდატებიდან იყოს ვინმე დასახელებული, როგორც თავმჯდომარეობის კანდიდატი?***

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, მიხეილ ჩინჩალაძეა ის, ვინც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იქნება. ამას ხელს არაფერი შეუშლის, თუ ამას არ დაუპირისპირდებიან ხელისუფლების უმაღლესი პირები.

***— ეს ინფორმაცია გაქვთ, თუ თქვენი ვარაუდია?***

— არა, ვარაუდიც კი არ არის, ამ ადამიანმა იმდენი მოახერხა, რომ ახლა ეს კლანი შეეცდება, სწორედ ის გაიყვანოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე. კლანური პრინციპი უკვე მუშაობს და, ცხადია, ეს პრინციპი ბოლომდე იმუშავებს.

***— ანუ არ გამორიცხავთ, რომ ჩინჩალაძე შეიძლება გახდეს უზენაესის თავმჯდომარე?***

— იმდენად სწრაფად განვითარდა ეს კლანი, იმდენად სწრაფად აიღო ხელში სისტემის სადავეები, რომ მე აბსოლუტურად რეალისტური მგონია ეს სცენარი.

არ დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ამ ადამიანებმა დაამხეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ეს ძალიან საშიში სიგნალი იყო. იმის შემდეგ გავიდა დრო, მაგრამ არავის არაფერი არ გაუკეთებია იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა რეალურად.

მე, მაგალითად, პარლამენტში სასწრაფოდ შევქმნიდი საგამოძიებო კომისიას, თუ რატომ წავიდა რეალურად ნინო გვენეტაძე თანამდებობიდან. ასე უცებ რომ მიდის ასეთი გამოცდილი ადამიანი ასეთი მაღალი პოსტიდან, ამას ხომ უნდა გამოეწვია კითხვები, რა მოხდა? რატომ მიდის? ასეთი რაღაცები ხომ თავისით არ ხდება?!

ამას წაუყრუა პარლამენტმა. სწორედ ამის შემდეგ აიკრიფა ის ტემპი, რომელიც, გარწმუნებთ, ჩინჩალაძეს მოიყვანს უზენაესი სასამართლოს სათავეში.

# შვიდწლიანი დავის შემდეგ სასამართლომ ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე უდანაშაულოდ ცნო



ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძეზე, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა შკუბულიანმა დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა, რომელმაც ქოქოლაძისთვის წარდგენილი ბრალდების შეწყვეტით მიმართა.

— ის ბრალი, რომელიც 2011 წელს იყო წარდგენილი ჩემს წინააღმდეგ გაბათილდა. ეს იმის შედეგი იყო, რომ სასამართლოს ყველა უტყუარი მტკიცებულება წარვუდგინე. ასევე წინა სასამართლო სხდომებზე დაიკითხა დავით კეზერაშვილის წარმომადგენელი და ელიტ ელექტრონიქსიდან შოთა მინდელი. მათმა ჩვენებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბრალდებები ჩემს წინააღმდეგ იყო უსაფუძვლო და ნაციონალური მოძრაობის რეჟიმთან დაახლოებული დანაშაულებრივი ჯგუფის ინტერესს ემსახურებოდა, რომ დაესაკუთრებინათ ელიტ ელექტრონიქსი. შემდგომში ასეც იყო კომპანია დაისაკუთრეს, მე დამაპატიმრეს და წლების განმავლობაში ვიბრძოდი, რომ მომხდარიყო ჩემი რეაბილიტაცია. დღეს საბოლოოდ სამართლიანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, — განაცხადა ანზორ ქოქოლაძემ.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელ ანზორ ქოქოლაძეს გამოძიება თაღლითობასა და ფულის გათეთრებაში ადანაშაულებდა.

ბიზნესმენს სააკაშვილის ხელისუფლებამ 2011 წლის 13 დეკემბერს ბრალი წარუდგინა — სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქ/პ და სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქ/პ -ით.

# მეტრო, შესაძლოა, გაჩერდეს?




მუნიციპალური განვითარების ფონდი თბილისის მეტროს საკომუნიკაციო და სავენტილაციო ქსელის შეცვლას 2019 წელს დაიწყებს. პროექტი აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება და ის ახლა შეფასების ეტაპზეა.

— თბილისის მეტროპოლიტენის არსებობის ისტორიაში, საინჟინრო ქსელების რენოვაცია არ განხორციელებულა, — განაცხადა მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა გიორგი შენგელიამ „საქმის კურსში“.

მისივე თქმით, არსებობს საფრთხე, რომ, შესაძლოა, ქსელი ერთ დღესაც მწყობრიდან გამოვიდეს. აქედან გამომდინარე, მისი მთლიანი განახლება გადაუდებელი აუცილებლობაა. გიორგი შენგელიას თქმით, პროექტი ერთი წლის განმავლობაში დასრულდება.

ბმ.გე

# ირაკლი მაკალათია: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების გაყიდვა კრახით დასრულდება“




ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო ქონების გასხვისებაზე ისაუბრა.

— ჩვენ ძალიან დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონება გვაქვს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობაში უნდა ჩავრთოთ. ეს ქონება თუ არ გავასხვისეთ, კერძო სექტორზე არ განვკარგეთ, ეს ჩვენი დიდი დამაბრკოლებელი ფაქტორი იქნება. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო კომპანიების ეფექტიანობის ზრდა, — განაცხადა ქობულიამ.

ეკონომიკის მინისტრის პოზიციას იზიარებს ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია და კომერსანტთან სახელმწიფო კომპანიების არაეფექტურობასა და მათი პრივატიზების აუცილებლობაზე საუბრობს.

— საქართველოში არსებული სახელმწიფო კომპანიები ნამდვილად არაეფექტიანია და ძირითადად კორუფციასთან არიან დაკავშირებულნი. ქვეყანაში 136 სახელმწიფო კომპანიაა, აქედან თითქმის ყველა წაგებაზე მუშაობს და რომ არ გაკოტრდნენ დიდი რაოდენობით ვალს იღებენ. მომავალ წელს სახელმწიფო კომპანიებს საგარეო ვალის დასაფარად 200 მლნ. დოლარი აქვთ გადასახდელი.

რეალურად სახელმწიფო კომპანიების დაფინანსებას კერძო სექტორიდან ბიუჯეტში მიღებული ფული ხმარდება, რაც უსამართლო და არაეფექტიანი პრაქტიკაა.

ცალკე პრობლემაა ის, რომ სახელმწიფო კომპანიები რიგი მიმართულებით კერძო ბიზნესთან შედიან კონკურენციაში და პრობლემებს უქმნიან მას, — განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

მაკალათიას შეფასებით, სახელმწიფო კომპანიების გაყიდვა შედეგს ვერ მოიტანს და უმჯობესია ეს კომპანიები უსასყიდლოდ გადავიდეს მოსახლეობის მფლობელობაში.

— განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის მამოძრავებელია კერძო სექტორი. იმისთვის, რომ ქვეყანაში კერძო სექტორი განვითარდეს აუცილებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გადავიდეს კერძო საკუთრებაში. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მალე იქნება სახეზე ეკონომიკური შედეგი.

თუმცა თუ სახელმწიფო გეგმავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების გაყიდვას, ეს კრახით დასრულდება. თუ ხელისუფლებას უნდა, რომ საქართველოს მოქალაქეები გამდიდრდნენ, მაშინ ეს ობიექტები უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს მოსახლეობას. ეს არის პრივატიზების ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი საშუალება, რადგან, ერთი მხრივ, პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები მცირეა ამიტომ ბიუჯეტის შევსება ამ გზით ვერ მოხერხდება, მეორე მხრივ, მოსახლეობას არ აქვს რესურსი იმისთვის, რომ შეიძინონ სახელმწიფო კომპანიები, — განმარტავს ირაკლი მაკალათია.

# მირიან მირიანაშვილი: „ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ტრამპის წერილი დამალა და გვიან გამოაჩინა“



მარიამ მჭედლიშვილი

**სირიიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის გადაწყვეტილებამ გააჩინა ეჭვი რეგიონში აშშ-ის საგარეო კურსის შეცვლის თაობაზე. ყოფილი დეპუტატი, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერი მირიან მირიანაშვილი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ აშშ მთელ რეგიონში აქტიურდება.**

**მირიან მირიანაშვილი:**

– ადრეც გვისაუბრია იმაზე, რომ სომხეთში მომხდარი მოვლენებით აშშ-მ გაიმყარა მდგომარეობა რეგიონში. მომავალი 2019 წელი ახალი პერეტურბაციებით იქნება გამორჩეული. ახალი რეალობა, რომელიც მალე ჩამოყალიბდება, გულისხმობს რუსეთის გავლენის მინიმიზაციას და ქირურგიულ ამპუტაციებს. მთელი რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური ელიტების გადაფორმატება ახალ ფაზაში შედის.

***– დააკონკრეტეთ.***

– თეთრი სახლი არ დაუშვებს ამ რეგიონში რუსეთის გავლენას და რუსეთის მსახური პოლიტიკური ელიტების საქმიანობას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია კულუარული მოლაპარაკებები ირანთან.

***– აშშ დაპირისპირებულ ირანთან შეთანხმებას ცდილობს?***

– კულუარული მოლაპარაკებები დაწყებულია. ირანელი ლიბერალი და კონსერვატორი ლიდერები ამ საკითხებზე ჯერ ვერ თანხმდებიან, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მორიგება ვერ მოხდება. ამერიკულ მედიაში აშკარად შენელდა ირანის საწინააღმდეგო საინფორმაციო კამპანია.

***– ამერიკის გეგმებისთვის რეგიონში მთავარი დაბრკოლება ირანია?***

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, თეირანიდან დაბრკოლება არ იქნება. სავარაუდოდ, 2019 წელს ირანში პროცესი დამთავრდება. ბაქოსთანაც გამოინახება საერთო ენა. თურქეთთან ამერიკის თანამშრომლობა ღრმავდება. ირანი და თურქეთი ღიად არ აცხადებენ, რომ მონაწილეობენ რუსეთის იზოლაციაში. აშშ-სთან კონტაქტებს ისინი მომავალშიც დაფარავენ.

***– ჩვენ, პირველ რიგში, საქართველო გვაინტერესებს.***

– საქართველო ამ გეგმებში ირანის შემდეგ დგას. პრორუსული პოლიტიკური ელიტა ახალ რეალობაში ვერ ჩაეწერება. მოსკოვიდან მართული პარტიებისა და ლიდერების ადგილი ამ სიტუაციაში არ არის. მოსალოდნელია ქირურგიული ამპუტაციები როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში. „ქართული ოცნება“ პოლიტიკაში ვერ დარჩება იმ ფორმითა და შინაარსით, რაც აქვს.

***– ესე იგი, მომავალ პარლამენტში პრორუსულ ძალებს მოხვედრის შანსი უმცირდებათ?***

– პრორუსული პარტიები უკვე პარალიზებული არიან. საბედნიეროდ, საზოგადოებაში რუსეთის მიმართ სამართლიანად ნეგატიური დამოკიდებულებაა. ეს ბოლო დროს უფრო გაძლიერდა. რუსეთის აგენტურა მუშაობს, მაგრამ პრორუსულმა პოლიტიკურმა ძალებმა დარტყმა მიიღეს. ზოგმა იაქტიურა, მაგრამ რუსეთიდან ამისათვის დივიდენდები და ფული ვერ მიიღო.

***– რუსეთი, მართალია, სუსტდება, მაგრამ აგრესია არ აკლდება. დათმობს ოკუპანტი გავლენის სფეროებს და ფარულ ბერკეტებს საქართველოში?***

– სხვა გზა არ ექნება. მალე კრემლს ჩვენი რეგიონისთვის არ ეცლება.

***– რატომ არ ეცლება? უკრაინას ვერ უმკლავდება?***

– უკრაინაშიც მოუმრავლდა საზრუნავი და ბელარუსშიც.

***– ლუკაშენკოს მოქმედებების გამო?***

– ლუკაშენკო პუტინს სულ უფრო ხისტ პირობებს უყენებს. კრემლს უკრაინის გარდა, ბელარუსიც უჩენს საფიქრალს.

***– ინტერვიუს დასაწყისში სომხეთი ახსენეთ და არ იგრძნობა, რომ რუსეთი სომხეთს თმობდეს. მაგალითად, მხარეებს შორის იგეგმება დოკუმენტის გაფორმება, სადაც ერევანი პირობას დადებს, რომ სომხეთში რუსული სამხედრო ბაზის გარდა, არც ერთი სხვა ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ბაზა არ განლაგდება.***

– ეს არაფერს ცვლის. გიუმრის რუსულმა ბაზამ, ფაქტობრივად, სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. ეს ბაზა ადრე თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, ახლა ის ვერავის ემუქრება.

სომხეთის ახალი ხელისუფლება არ არის პრორუსული. ის ძირფესვიანად განსხვავდება წინამორბედი ხელისუფლებებისაგან. სომხეთის წინანდელი მმართველები რუსეთის დავალებით ანტიქართულ პოლიტიკას ეწეოდნენ. სომხეთის ახლანდელი ხელისუფლება ამის მსგავსს არაფერს აკეთებს.

საქართველოში მიმდინარე და მოსალოდნელ პროცესებს დიდი ყურადღებითა და იმედით შეჰყურებენ ჩვენი ჩრდილოკავკასიელი მეზობლები. მათთვის საქართველო ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ჩრდილოკავკასიელები დადებითად შეხვდნენ სალომე ზურაბიშვილის არჩევას საქართველოს პრეზიდენტად. მათთვის იმედის მომცემია საქართველოში დასავლური ძალების გააქტიურება, რაც გარდაუვალია.

ამერიკელი რესპუბლიკელებისთვის გადამწყვეტია აშშ-ის პოზიციების გაძლიერება იმ რეგიონში, რომლის ნაწილია კავკასია. ითვლება, რომ დემოკრატებისა და ობამას დროს აქ ქაოსი, არასტაბილურობა და ამერიკის უკან დახევა იყო. 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ჩვენს რეგიონში აშშ-ის როლის ზრდა და სტაბილურობა საკვანძო საკითხი იქნება. ამ კონტექსტში საგულისხმოა ინაუგურაციასთან დაკავშირებული პერიპეტიები.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– აშშ-ის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილს წერილობით მიულოცა პრეზიდენტობა. ეს ამბავი 14 დეკემბერს მოხდა.

***– ინაუგურაციამდე?***

– საქმეც ეგაა, რომ ინაუგურაციამდე მოვიდა მოლოცვის წერილი, რომელიც აქ დამალეს.

***– დამალეს?***

– დამალეს და ინაუგურაციიდან ორი თუ სამი დღის შემდეგ გაახმიანეს. ესაა დონალდ ტრამპის პირველი წერილობითი მოლოცვა პრეზიდენტისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში.

***– ინაუგურაციის დღეს მაინც ხომ უნდა გამოემზეურებინათ ასეთი მნიშვნელოვანი მოლოცვა? რა მოხდა?***

– რასაკვირველია. მოლოცვის გარდა, ეს იყო საგანგებო გზავნილი ქართული პოლიტიკური ელიტისათვის, ანუ იმ პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც 16 დეკემბერს, ინაუგურაციის დღეს აწყობდნენ აქციებს.

***– ნაციონალებზეა ლაპარაკი?***

– არამარტო ნაციონალებზე. „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის აქტივი შეთანხმებულად მოქმედებდა. ორივეს რუსეთის კურატორობით უნდოდა ინაუგურაციის ჩაშლა და დასავლეთის დარწმუნება იმაში, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია.

***– ამ არჩევნებით ეს ორი ძალა შევიდოდა პარლამენტში?***

– მათ ამის იმედი ჰქონდათ, მაგრამ გეგმები ჩაეფუშათ. აშშ-ის პრეზიდენტისა და ამერიკული მმართველი წრეებისთვის კი აქაური ლიდერები უფრო მიუღებლები გახდნენ.

მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის წერილობითი მილოცვა ძალიან არ მოეწონა რუსეთს. ამ ვირეშმაკობით ამ წამყვანმა პარტიებმა უღალატეს თავის დასავლეთის მომხრე ამომრჩეველს, რომლისთვისაც ეს გზავნილი მრავლისმთქმელი იქნებოდა. ბევრი ადამიანი თავს შეიკავებდა საპროტესტო აქციისაგან.

დონალდ ტრამპი გამოირჩევა ავი მეხსიერებით. ის ასეთ თავხედობას არავის აპატიებს. მით უმეტეს, როგორც ვიცი, იგი ინფორმირებულია იმაზე, თუ როგორ აუგად მოიხსენიებდა ბიზნესმენ ტრამპს ივანიშვილი მის გაპრეზიდენტებამდე.

ინტრიგები და თაღლითობა ვერ შეაჩერებს ამერიკის შემოსვლას ჩვენს რეგიონში. თურქეთი ნახევარი წელია იხვეწება, რომ დონალდ ტრამპი ჩავიდეს მათ ქვეყანაში. კულუარული ინფორმაციით, ეს ვიზიტი შედგება, თანაც უახლოეს ხანში.

ბუშის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი რეგიონში არ ყოფილა. ტრამპის ჩამოსვლა უმნიშვნელოვანესი იქნება არამარტო თურქეთისთვის.

# აუდიტის სამსახური: „ოზურგეთში მიწები უკანონოდ და იაფად იყიდებოდა“



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიწები უკანონოდ, საეჭვოდ და რეალურ საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად იაფად იყიდებოდა – ასეთ დასკვნამდე მივიდა აუდიტის სამსახური, რომელმაც მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლის საქმიანობა შეისწავლა. უწყება, პრივატიზაციის პროცესის სრულ გამოძიებას ითხოვს. აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით, 2016-2017 წლებში სულ 282 მიწის ნაკვეთია გასხვისებული, საერთო ფართით 1.707.5 ათას კვ.მ, მათ შორისაა ნაკვეთები ზღვისპირა ზოლშიც. შედეგად, საბიუჯეტო შემოსავალმა 1.384.1 ათასი ლარი შეადგინა.

აუდიტის სამსახურში მიაჩნიათ, რომ რეალურად შემოსავალი 10-ჯერ მეტი უნდა ყოფილიყო.

– ქონების პრივატიზების პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტი ქონების გასხვისებისას საჯარო აუქციონის ფორმას იყენებდა, რათა კონკრეტულ დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, უკონკურენტო გარემოში, საბაზროზე არსებითად დაბალი ფასით შეესყიდათ მუნიციპალური ქონება. შედეგად, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ქმედებით, მუნიციპალიტეტმა დაკარგა ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხების მობილიზების შესაძლებლობა, რითაც ზიანი მიადგა თვითმმართველობის ინტერესებს, – ნათქვამია აუდიტის დასკვნაში.

უწყებაში დასძენენ, რომ მიწების რეალურ საბაზრო ფასად შეფასებისა და პრივატიზაციის პროცესის სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, შემოსავალი ზღვისპირა ნაკვეთებიდან 357 ათასი ლარის ნაცვლად, 10 მილიონ 700 ათასი უნდა ყოფილიყო, სხვა მიწებიდან კი 573 ათასი ლარის ნაცვლად – 1 მილიონ 600 ათასი. აუდიტის სამსახურის მონაცემებით, ნაკვეთები 25-დან 50 თეთრამდე იყო შეფასებული, ზღვისპირა ზოლში კი 2,5 ლარიდან 10 ლარამდე.

უწყებამ, მიწების ფასებზე მოკვლევა თავად ჩაატარა და დაადგინა, რომ ზღვისპირა ზოლში მიწები რეალურად 50-დან 150 ლარამდე ღირს, სხვა ნაკვეთები კი 1 ლარიდან 2 ლარამდე. უწყებისთვის დამატებით ეჭვს იწვევს ის, რომ აუქციონები არა ელექტრონული, არამედ საჯარო ფორმით ტარდებოდა.

– პასუხისმგებელმა პირებმა არ გაითვალისწინეს ელექტრონული აუქციონის უპირატესობები და აირჩიეს საჯარო აუქციონის ფორმა. აღნიშნულის შედეგად, პრივატიზების პროცესი წარიმართა უკონკურენტო, გაუმჭვირვალე გარემოში და არსებითი ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტის ინტერესებს. – ნათქვამია აუდიტის ანგარიშში.

მაკონტროლებელი უწყების შეფასებით, საპრივატიზაციო პროცესი მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა და მათივე აზრით, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, მიწების შემფასებელი და ქონების შეძენით დაინტერესებული პირები, ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

ბმ.გე

# 2017 წელს თელასის მოგება — 16,5 მილიონით, ენერგო-პრო ჯორჯიას მოგება კი 85,5 მილიონი ლარით შემცირდა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, თელასის მოგება 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 43%-ით შემცირდა და 22 .3 მლნ. ლარი შეადგინა, ენერგო-პრო ჯორჯიას მოგება კი 2,3-ჯერ არის შემცირებული და – 64.831 მლნ ლარია.

სს თელასი საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური კომპანიაა, რომელიც ელექტროენერგიის განაწილებას და გასაღებას ახორციელებს. ამჟამად, კომპანია 2057 ადამიანს ასაქმებს და 606,2 ათას აბონენტზე მეტს ემსახურება.

2017 წელს ელექტროენერგიის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 420.338 მლნ ლარი შეადგინა, რაც 24.466 მლნ ლარით მეტია 2016 წელთან შედარებით.

2017 წელს გაყიდვების ზრდა 17.801 მლნ ლარით გამოიწვია კომერციულ სექტორზე გაყიდვების ზრდამ 118.30 მლნ კვტ/სთ ოდენობით. გარდა ამისა, შემოსავლების ნაწილში „სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე“ გაიზარდა 370 ათასი ლარით.

თელასის სასესხო ვალდებულებები 2017 წელს – 15.219 მლნ ლარს, კაპიტალი კი 112.429.418 ლარს შეადგენდა.

კომპანიის სააქციო კაპიტალის 75%-ს Silk Road Holdings B.V., 25%-ს კი სს საპარტნიორო ფონდი ფლობს.

„ენერგო-პრო ჯორჯია“ – კომპანია დაფუძნდა 2006 წელს და ამ დროისთვის 1 200.000-ზე მეტ აბონენტს ემსახურება.

ენერგო-პრო ჯორჯიას შემოსავალი 2017 წელს 693,632 მლნ ლარი იყო, რომლის 98% (680,311 მლნ ლარი) ელექტროენერგიის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვიდან მიღებული შემოსავალია.

2007 წელს სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ხელშეკრულება და მიიღო 100%-იანი კონტროლის უფლება „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“, „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივებსა და საქართველოს ექვს სხვა ჰიდროელექტროსადგურზე.

2017 წელს კომპანიამ საჯარო აუქციონზე შეისყიდა სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საოპერაციო აქტივები შედეგად, ენერგო-პრო თბილისის გარეთ ელექტროენერგიის ერთადერთი გამანაწილებელი გახდა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ენერგო-პრო ჯორჯიას 196,377 მლნ ლარის ნასესხები სახსრები აქვს. კომპანიამ 2017 წელს 115,751 მლნ ლარის სესხი აიღო. მისი ძირითადი დამკრედიტებელი კი თიბისი ბანკი იყო.

აღსანიშნავია, რომ თელასი და ენერგო-პრო ჯორჯია 2017 წელს ბრუნვის მაჩვენებლით TOP 50 კომპანიას შორის იყვნენ, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში კი ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განახორციელეს და TOP-10 ინვესტორს შორის არიან.

ნონა ცაბაძე

# ჯონდი ბაღათურია: „ვალების განულებით მხოლოდ ბანკებმა იხეირეს“

## „ამ ყველაფრის სქემას დეტალურად წარმოვადგენ“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.**



***– ბატონო ჯონდი, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას? ეკონომიკის მინისტრი გვეუბნება, რომ სიღარიბე შემცირდა, კარგად ცხოვრობთ, უბრალოდ, თქვენ ვერ გრძნობთ ამასო. ასეა, ვერ ვგრძნობთ და ყველაფერი კარგად არის?***

– როგორც ჩანს, მინისტრი პირად მაგალითზე საუბრობს. მაგათი მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესდა და ნამდვილად კარგად გრძნობენ თავს. მინისტრის ასეთი არაადეკვატურობა ძალიან სამწუხაროა და სახიფათოა ქვეყნისთვის. ეს არ არის მარტო ამ მინისტრის განცდა. ზოგადად მთავრობის წევრებმა და პარლამენტის წევრებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა. ერთი სახლი თუ ჰქონდა ვინმეს, ახლა ხუთი აქვს. ძალიან ბევრმა ევროპაში, ზოგმა ლონდონში და სად აღარ იყიდეს ბინები, ყოველი შემთხვევისთვის, გასაქცევად რომ ჰქონდეთ საქმე, აეროპორტამდე რომ მიასწრონ და მერე თავი შეაფარონ სხვა ქვეყანაში.

***– ვერ გრძნობენ, ქვეყანაში როგორი სიღარიბეა თუ ეს უტიფრობა უფროა?***

– შესაძლოა, ვერც გრძნობენ, არ კონტაქტობენ ადამიანებთან, არ აქვთ ურთიერთობა მეზობელთან, რომელსაც უჭირს. აბსოლუტურად მოწყვეტილი არიან რეალობას. ხომ ხედავთ, როგორ ცხოვრობენ, სამი მეტრი ღობე რომ გაქვს სახლზე შემორტყმული, მარტო ჩიტი ხედავს და ისინიც მხოლოდ ჩიტებს თუ ხედავენ.

სამსახურში დაბურულმინებიანი მანქანებით დადიან და მოსახლეობასთან საერთოდ არ კონტაქტობენ. ნამდვილად არ მიკვირს, რომ ისინი რეალობას მოწყვეტილი იყვნენ. ნახეთ, რა ფასებია!

***– გაძვირდა პური, მედიკამენტები, ამბობენ, რომ ფასები კიდევ მოიმატებს.***

– რეალურად ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა და ამ მძიმე მდგომარეობას მეტწილად განაპირობებს სუბიექტური ფაქტორები. ქვეყანაში არსებული სიღარიბისა და სიდუხჭირის მთავარი სუბიექტური ფაქტორი არის კორუფცია, მთავრობისა და პარლამენტის ზოგი წევრის უნამუსო ჩართულობა კორუფციაში.

პირდაპირ ხელისგულზე დევს, რა ხდება, ხელოვნურად შექმნილი მონოპოლიები ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. ასევე ხელისგულზე ჩანს ფარმაცევტულ ბიზნესში შექმნილი ხელოვნური მონოპოლია და ასევე საწვავის ბიზნესში შექმნილი ხელოვნური მონოპოლია.

საავთიაქო ბაზარზე ძირითადად ოთხი მსხვილი კომპანიაა წარმოდგენილი, რომლებსაც დადებული აქვთ კარტელური შეთანხმება, ანუ შეთანხმება ხალხის წინააღმდეგ და მედიკამენტებზე უდევთ 400-500, ზოგჯერ კი 850%-ით უფრო მაღალი ფასები, ვიდრე ჩვენ სამეზობლოშია.

***– რატომ არ ინტერესდებიან ამით შესაბამისი უწყებები?***

– საქმეც ეგ არის. ახლა რომ გადაუგზავნა პრემიერ-მინისტრმა მასალები ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და პროკურატურას, პურის ფასებთან დაკავშირებით შეისწავლეთო, ეს დასჭირდათ პოპულიზმისთვის. ძალიან შეეხო პურის ფასი მოსახლეობას და წაიპოპულისტეს.

მედიკამენტის ფასებზე მასალები პრემიერ-მინისტრის კაბინეტშიც ჩავაბარე, ანტიმონოპოლიურ სამსახურსაც გადავუგზავნე, ასევე გადავუგზავნე პროკურატურას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ეს საკითხი ადგილიდან არ დაიძრა და რატომ?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამ კარტელური შეთანხმებიდან და ხალხის გატყავების ხარჯზე შემოსული მილიონების ძალიან დიდი წილი მიედინება კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეებში და ხმარდება ხელისუფლების წევრთა კომფორტულ დაფინანსებას. სამი და ოთხმეტრიანი ღობეები და შიგნით სასახლეები სწორედ ასეთი უნამუსოდ ნაშოვნი ფულით აქვთ აშენებული.

***– ამბობენ, რომ ვალების განულების საკითხიც მოსახლეობის მოტყუება იყო წინასაარჩევნოდ და რეალურად ეს არ გაუნულდებათ და არც შავი სიიდან ამოიღებს არავინ. ამაზე რას იტყვით?***

– პოპულიზმი პოლიტიკოსებს ახასიათებთ, მაგრამ ამ პოპულიზმის უკან უნდა იდგეს რეალურად გაკეთებული საქმეები. ცუდი პოპულიზმი კი არ არის, ცუდი ის არის, რომ საქმეები არ კეთდება. პირადად მე მოუთმენლად ველოდები 31 დეკემბერს, როდის იქნება და რა ვალები იქნება ჩამოწერილი. მე ვმუშაობდი ამ თემაზე და ეს საკითხი ჩემთვის კარგად არის ნაცნობი, ძალიან კარგად ვერკვევი ამ სფეროში. მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ადგილი აქვს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– მოდით, დეტალებს არ ვიტყვი წინასწარ. უბრალოდ, ბანკები აპირებენ, რომ ხელი მოითბონ ამ არსებული ოპერაციით. გამოჩნდა ეჭვი, რომ ამ ვალების ჩამოწერით ისარგებლებენ მხოლოდ და მხოლოდ ბანკები!

***– ამ საკითხზე თავიდანვე საუბრობდნენ, რომ ეს ვადაგასული და უიმედო სესხები იყო, რომელთა ამოღების იმედი ბანკებს მთლიანად გადაწურული ჰქონდათ. ასეა?***

– თუ ის გამართლდა, რა ინფორმაციებიც მე მაქვს, ვგეგმავ, რომ სქემატურად წარმოვადგინო, ვინ რა ხეირი ნახა აქედან. პირდაპირ ციფრებით ვილაპარაკებ. ასევე გეტყვით, როგორი გარიგება შედგა მთავრობასა და ბანკებს შორის. თუ ეს გამართლდა, ძალიან ცუდი იქნება.

***– ანუ კიდევ ერთხელ მოატყუეს ამომრჩეველი არჩევნების წინ?***

– დიახ, მაღალი ალბათობით, ალბათ ასე იქნება. რადგან არ მეშვებით, გეტყვით: როგორც კი ეს ღონისძიება პრემიერ-მინისტრმა დააანონსა, მე დავინტერესდი, რომელ მომხმარებელს ეხებოდა ეს ჩამოწერის პროცესი. როგორც გავარკვიე, ეს ძირითადად ეხება არალიკვიდურ აქტივებს და არა – პრობლემურ ვალებს.

***– რა განსხვავებაა ამათ შორის?***

– პრობლემური ვალი არის ის ვალი, როდესაც ადამიანს ან სამუშაო აქვს, ან რაღაც ქონება აქვს ჩადებული, ვერ იხდის ვალს და ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდება ამის გამო.

ლიკვიდური აქტივი ნიშნავს უიმედო ვალს, ბანკისთვის გაფრენილი ჩიტივით რომ არის, ვერასდროს რომ ვერ ამოიღებს, ანუ ადამიანს ვალი აქვს აღებული, მაგრამ არანაირი შემოსავალი არ აქვს და არც ქონება აქვს, რომ ბანკმა ამოიღოს. გადის წლები და ეს ადამიანი სავსებით კომფორტულად ცხოვრობს, იმიტომ რომ ვერავინ ვერაფერს ართმევს. ერთადერთი დისკომფორტი მისთვის ის არის, რომ თუ მუშაობას დაიწყებს და ლეგალური შემოსავალი ექნება, იქიდან თანხებს ჩამოაჭრიან. მოსახლეობის ნაწილმა აქედანაც იპოვა გამოსავალი და ახერხებს ისე მუშაობას, რომ თანხები არ ჩამოაჭრან.

***– ბანკების ხეირი რაში მდგომარეობს?***

– ყველაზე დიდი ხეირი აქედან აქვთ სწორედ ბანკებს. საერთო ჯამში, მილიარდ-ნახევარზეა ლაპარაკი, რომელიც ბანკებს აქვთ გაცემული და ვერ იბრუნებენ. პლუს მეორე მილიარდ-ნახევარი მათ დარეზერვებული, გაყინული აქვთ ეროვნულ ბანკში. ამას ითვალისწინებს კანონი, ანუ ბანკს აქვს მილიარდ-ნახევარი ფული და მას ვერ იყენებს იმისთვის, რომ საბანკო ოპერაციები აკეთოს. ეს ბანკებისთვის დიდი დანაკარგი იყო. საკითხი ეხება არა მარტო იმ მილიარდ-ნახევარს, რომელიც გასცეს ამ ბანკებმა, არამედ დამატებით მეორე მილიარდ-ნახევარს, რომელიც გაუყინა მათ ეროვნულმა ბანკმა იმის გამო, რომ ფული არ აქვთ ამოღებული.

ამ მილიარდ-ნახევრის ჩამოწერაში ბანკები კარგად იხეირებენ, ძალიან კარგად. მე, უბრალოდ, ველოდები 31 დეკემბერს, თორემ უკვე მაქვს წვდომა გარკვეულ ინფორმაციებზე, რა და როგორ ხდება.

ციფრობრივად ვიტყვი, რომელმა ბანკმა ამით რა იხეირა და „ატკატის“ სახით რას გადაიხდიდა. ამას ყველაფერს ჩამოვაყალიბებ.

# არმაზ თავაძე: „ხელისუფლების ბიზნესის მიმართ მიდგომები მოსახლეობას გაალატაკებს“

„კომერსანტი“ აგრძელებს ბიზნესმენების გამოკითხვას თემაზე – რას ურჩევენ ისინი ხელისუფლებას. ამჯერად „არდი დაზღვევისა“ და კლინიკა „პინეოს“ დამფუძნებლის, ბიზნესმენ არმაზ თავაძის რჩევას შემოგთავაზებთ.



დღევანდელ სიტუაციაში შეუძლებელია ერთი რჩევით შემოიფარგლო. ქვეყანაში ისეთი მასშტაბური სიღარიბეა, რომ თუ სერიოზული სისტემური ცვლილებები დროულად არ გატარდა და თუ ხელისუფლება ბიზნესის მიმართ გარკვეულ მიდგომებს რადიკალურად არ შეცვლის, მოსახლეობა სრული სიღარიბისთვის იქნება განწირული. ცალკეული პრობლემების ერთჯერადად გადაწყვეტა შედეგს არ მოგვცემს. სისტემური ცვლილებებია საჭირო.

დოვლათს ქმნის ბიზნესი. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. როდესაც ქვეყანაში ბევრი ძლიერი კომპანია საქმიანობს, შესაბამისად ძლიერია ქვეყანაც. ამ მარტივ თემას ვერსად გავექცევით. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების მსგავსად, არც დღევანდელი ხელისუფლება არის ბიზნესის მიმართ გულშემატკივარი. ნურავის ჰგონია, რომ თუ ბიზნესმენებს ოფისებში აღარ უვარდებიან და უსამართლოდ აღარ იჭერენ, ეს საკმარისია ბიზნესის განვითარებისთვის. ბიზნესის წარმოება დღევანდელ საქართველოში უამრავ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ერთადერთი, რაც უდაოდ მარტივია, ეს არის კომპანიის რეგისტრაციის პროცედურები, უფრო მეტიც, შესაძლოა, კომპანიის გახსნის ცერემონიაზე ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელიც მოვიდეს და წითელი ლენტის გაჭრის შემდეგ ლამაზად დაზეპირებული ფრაზებიც არ დაიშუროს, მაგრამ ის პროცესები, რაც ამის შემდეგ დაიწყება, იცოდეთ, რომ სრული აბსურდის თეატრია.

პირველი რიგის გამოწვევა ბიუროკრატიული აპარატია. ვერ იპოვით სფეროს, სადაც ბიზნესს სხვადასხვა დოზით არ ჰქონდეს შეხება ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე სტრუქტურასთან. სწორედ აქ იწყება აბსურდის თეატრის პირველი მოქმედება. ნებისმიერი მოხელე საკუთარ მოვალეობად თვლის რომ რაღაცა გაგირთულოს. ეს ყოველდღიურ რეალობად იქცა. ვერ მიპოვნით ცივილიზებულ ქვეყანას, სადაც სახელმწიფო მოხელეს ასეთი გულგრილი და მტრული დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მეწარმესთან, რომელიც საკუთარ ქვეყანაში უამრავ ადამიანს ასაქმებს. „გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნის“ – ეს ჩვენი ჩინოვნიკების დამოკიდებულების განმსაზღვრელი შინაგანი პარადიგმაა. ხშირ შემთხვევაში არ ჭრის არც ლოგიკა, არც კანონი, არც ნაცნობობა. ნებისმიერი ელემენტარული საკითხის გადაწყვეტას გაურკვეველი დრო დასჭირდება. მართალია, ბოლოს და ბოლოს, ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ბერკეტის საშუალებით და უდიდესი ძალისხმევით საკითხს მაინც აგვარებ, მაგრამ ვერც ერთი ბიუროკრატი მოხელე ვერასოდეს ვერ გაიგებს, თუ რა ძვირად უჯდება ბიზნესს დროში უაზროდ გაწელილი გადაწყვეტილებები.

მეორე ბარიერი სასამართლო სისტემაა, სადაც ნებისმიერი საქმის განხილვა ასევე განუსაზღვრელი ვადებით ჭიანურდება. შეუძლებელია, ბიზნესს აწარმოებდე და სასამართლო სისტემასთან შეხებამ არ მოგიწიოს. თქვენ მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს ვინ შეუქმნის ბიზნესს საფრთხეს, ნიღბიანი მოძალადე თუ რომელიმე არაპროფესიონალი მოსამართლე ? დღევანდელი მოსამართლეების თაობას იურიდიული განათლება 80-90 იან წლებში აქვთ მიღებული. მას შემდეგ ბიზნეს ურთიერთობებში იმდენი რამე შეიცვალა, რომ ხშირად მეც კი მიჭირს თანამედროვე ბიზნესის ყველა დეტალში გარკვევა. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც მრავალმილიონიან საქმეს იხილავს მოსამართლე, რომელსაც 90-იან წლებში დაწერილი სამოქალაქო კოდექსის და მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარების მეტი არაფერი წაუკითხავს, ვერ იგებს ეს ადამიანი საქმის არსს და რა ქნას ? მოსამართლეთა გადამზადებისთვის არც ერთმა ხელისუფლებამ არაფერი იზრუნა. სამართლიანი და განათლებული მოსამართლეების გარეშე კი დიდი ხნით მოგვიწევს დავივიწყოთ დადებითი ბიზნესგარემოს შექმნის პერსპექტივა.

მესამე ურთულესი გამოწვევა განუვითარებელი კაპიტალის ბაზარია, რომელიც ბიზნესის განვითარებას მკვეთრად აფერხებს. ხელისუფლება ამ თემაზე მყარად დუმს. ეჭვი მაქვს, რომ მათ არ ესმით ამ თემის მნიშვნელობა. სხვა ახსნას ვერ მოვუძებნი იმ ფაქტს, რომ ასეთი საკვანძო საკითხის მიმართ სრული გულგრილობაა. ბიზნესს მუდმივად სჭირდება ფინანსური რესურსი, როგორც საწყის ეტაპზე, ისე, განსაკუთრებით განვითარების პროცესში. საიდან უნდა მოიზიდოს ბიზნესმა საქმიანობისთვის საჭირო თანხები, ქართული ბანკებისგან? არჩევანი ამ სფეროშიც საკმაოდ შეზღუდულია. დღეს ფინანსების მოზიდვა მხოლოდ და მხოლოდ ორი ქართული ბანკისგან არის შესაძლებელი. სხვებმა არ მიწყინონ, მაგრამ საშუალო და მსხვილი ბიზნესის დასაფინანსებლად სხვა ქართული ბანკები მზად არ არიან. იქნებ რომელიმე ჩინოვნიკმა მირჩიოს – თუ ამ ორი ბანკის პირობები მიუღებელი აღმოჩნდება ბიზნესისთვის, ასეთ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს ბიზნესმენმა? ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების პირდაპირი დანაშაულია, რომ ქართული საბანკო სისტემა არაკონკურენტულ გარემოში განვითარდა. რატომ არ შემოდის ქვეყანაში არცერთი უცხოური საბანკო ჯგუფი ? რატომ გავიდა ქვეყნიდან ჯერ HSBC და შემდეგ Societe Generale? რატომ ვერ ვავითარებთ საფონდო ბაზარს? დღეს რომელიმე ქართულმა კომპანიამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება და განთავსება რომ გადაწყვიტოს, იმ ორი ქართული ბანკიდან ან ერთის შვილობილ საბროკერო კომპანიას უნდა მიმართოს ან მეორეს. სხვა ალტერნატივა პრაქტიკულად არ არის. საფონდო ბირჟა ბანკის ალტერნატიული ფულადი რესურსის მოძიების წყაროა, რაც, რა თქმა უნდა, საბანკო სისტემისთვის მიუღებელია და ამიტომ საქართველოს საფონდო ბირჟა, რომელსაც ორი ლიდერი ქართული ბანკი ფლობს (ესეც მორიგი აბსურდია), პრაქტიკულად, არ გვაქვს. აღარაფერს ვსაუბრობ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობაზე. ეს საკითხი მხოლოდ ფორმალურად მოგვარდა. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ცივილიზებულ ქვეყანას, სადაც საბანკო ჯგუფს ასე თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ სფეროში ბიზნესის დაწყება. ამ თემაზე საუბრობს ყველა, ვისაც არ ეზარება, მაგრამ რეალური შედეგები არ ჩანს.

მეოთხე პრობლემა, რომელსაც ბიზნესი პირველივე დღეს იგრძნობს, ეს არის უღარიბესი მომხმარებელი. რომელი ბიზნესი განვითარდება იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღარიბია, ანუ მომხმარებელს ყოველდღიური დასახარჯი თანხები არ გააჩნია. ამ საკითხის მოგვარებაზე ზრუნვას თუ გადაწყვეტს ხელისუფლება, ვურჩევდი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პირველი სამი საკითხი გულდასმით გადაიკითხოს.

ასე, რომ როდესაც ეკონომიკური გუნდის რომელიმე სახელმწიფო მოხელე ბიზნესის ხელშეწყობაზე ან ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობაზე დაზეპირებული ფრაზებით საუბარს დააპირებს, უმჯობესია ჯერ ბიზნესის წარმომადგენლებს გულწრფელი გულშემატკივრის პოზიციიდან მოუსმინოს. ასე ბევრად უფრო უკეთესი იქნებოდა.

# „მამა იჭერდა ლექსოს და შვილი უკნიდან ჩეხდა“

## გიორგი და ნიკოლოზ აბულაძეები საქართველოდან გაქცევის დროს დააკავეს

წავკისში მომხდარ საზარელ მკვლელობასა და დაჭრაში ბრალდებულები დააკავეს. როგორც ირკვევა, 26 წლის ლექსო და 28 წლის დათო ფეიქრიშვილების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის დაკავებულთაგან 2 მამა-შვილია.

პოლიციამ 27 წლის გიორგი აბულაძე მაშინ დააკავა, როცა ის 46 წლის მამასთან, ნიკოლოზ აბულაძესთან ერთად ქვეყნიდან გაქცევას ცდილობდა.

დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით სამართალდამცავებმა დააკავეს აბულაძეების ოჯახის ახლობელი, 25 წლის ანრი ყურაშვილიც.

დათო და ლექსო ფეიქრიშვილების ახლო ნათესავმა ლუკა ფეიქრიშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„დაკავებულია სამი პიროვნება, აქედან ორი მამა და შვილია, მამა იჭერდა ლექსოს და შვილი უკნიდან ჩეხდა, შეწყალებით არის გამოსული მკვლელის მამა და ბავშვის მკვლელობაზეა ნაჯდომი“.

სასტიკი მკვლელობა კვირას მოხდა. ახალგაზრდებს შორის კონფლიქტი მანქანის სარკის დაზიანების გამო დაიწყო და ლექსო და დავით ფეიქრიშვილების მკვლელობით დასრულდა. ორივე ხანჯლით აჩეხეს. მძიმედ არის დაჭრილი კიდევ ორი პირი.

შს სამინისტრომ მკვლელობის საქმეზე სამი პირის დაკავების შესახებ ასეთი განცხადება გააკეთა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წავკისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს და 3 პირი დააკავეს. კერძოდ, დაკავებულია 1991 წელს დაბადებული გ.ა. – დამამძიმებელ გარემოებაში 2 ან მეტი პირის





მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ასევე, 1972 წელს დაბადებული ნ.ა. – დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით. გარდა ამისა, დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ა.ყ., რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის შეუტყობინებლობა.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობაში ბრალდებულებმა 23 დეკემბერს, დაბა წავკისში მომხდარი კონფლიქტის დროს, ცივი იარაღის გამოყენებით, დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩაიდინეს 1990 წელს დაბადებული დ.ფ.-სა და 1993 წელს დაბადებული ლ.ფ.-ს მკვლელობა. ამავე კონფლიქტის დროს, დაიჭრა კიდევ კიდევ ორი პირი – 1989 წელს დაბადებული ს.დ. და 1991 წელს დაბადებული რ.ზ., რომელთაც ამ დრომდე უტარდებათ შესაბამისი მკურნალობა.

ათეულობით მოწმის გამოკითხვისა და ჩატარებული სხვა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი გახდა მხარეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი. კერძოდ, 22 დეკემბერს, წავკისი-ტაბახმელის საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის შედეგად ავტომობილისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, მხარეებმა მეორე დღეს შეხვედრა დაგეგმეს და ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ საპატრულო პოლიციას არ შეატყობინეს.

შეხვედრა საღამოს, დაახლოებით, 20:00 სთ-ზე შედგა. მხარეებს შორის საუბარი ჯერ სიტყვიერ შეურაცხყოფაში, შემდეგ კი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. გარდა ამისა, გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულის შემსწრე 1 პირი – 1993 წელს დაბადებული ა.ყ. სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გადაკვეთას და თურქეთის მიმართულებით გაქცევას ერთ-ერთ ბრალდებულთან გ.ა.-სთან ერთად ცდილობდა, რა დროსაც ისინი პოლიციამ შეაჩერა და განყოფილებაში გადაიყვანა. ა.ყ.-ს გამოკითხვისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გაირკვა, რომ იგი მომხდარ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა, რაც სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

სამივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად და 2 ან მეტი პირის მიმართ და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდართან დაკავშირებით ინტენსიურ საგამოძიებო მოქმედებებს უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს. აღნიშნულ ფაქტზე ახალი გარემოებების გამოკვეთის შემთხვევაში, საზოგადოებას დამატებითი ინფორმაცია ეცნობება“.

# პოლიციამ დეპუტატი გაჩიანში ნარკოტიკების სამალავთან დააკავა?

## შსს ამ ინფორმაციას უარყოფს




სისხლიანი დაპირისპირება მოხდა რუსთავში, სასაფლაოს ტერიტორიაზე. სოფელ გაჩიანთან სამი მამაკაცი დაჭრეს.

ერთ დაშავებულს ტყვია მუცლის არეში აქვს მოხვედრილი, ორი კი ფეხის არეშია დაჭრილი.

დაშავებულები რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულთა ახლობლების მტკიცებით, ახალგაზრდებს კონფლიქტი უცნობ პირებთან აზერბაიჯანელების სასაფლაოზე მოუვიდათ.

დაჭრას წინ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება უძღოდა. კონფლიქტი სასაფლაოზე მაშინ დაიწყო, როდესაც ადგილობრივმა ახალგაზრდებმა უცხო პირებს ტერიტორიაზე წამლით ვაჭრობა აუკრძალეს.

– ვიღაცამ სასაფლაოზე დამარხა ნარკოტიკები და ინტერნეტის საშუალებით ყიდის. აქ მოდიან უცხო ადამიანები და აცხადებენ, რომ სოფელში მათ ასაღებად მოდიან. გვინდა დავიჭიროთ ის ადამიანები, ვინც ნარკოტიკებს ყიდის. ადრე ასეთი რამ არ ყოფილა. რა სახელმწიფოა ის, რაც ამას უშვებს, – ამბობს დაჭრილის ახლობელი.

ადგილობრივების თქმით, აყვანის სპეცოპერაციისას სამართალდამცავებსა და ბოროტმოქმედებს შორის ორმხრივი სროლა იყო.

პოლიციამ ერთი პირი დააკავა. დაკავებისას კი ბრალდებულის მეგობრებმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

გუშინ რუსთავი 2-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მაღალჩინოსნები გაჩიანის სასაფლაოზე მოწყობილ ნარკობაზრობას რეგულარულად აკითხავენ.

ირკვევა, რომ სასაფლაოზე დამალული ნარკოტიკის მოსაძებნად რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი დეპუტატიც იმყოფებოდა. თუმცა ფაქტზე დაჭერილი გავლენიანი პირი პოლიციამ ზედმეტი კითხვების გარეშე გაუშვა.

ამ მაღალჩინოსნის ზუსტი ვინაობა გაჩიანელებმა არ იციან, თუმცა დაინახეს, რომ მან სამართალდამცველებს თავისი მანდატი წარუდგინა, ხაზი გაუსვა, რომ ხელშეუხებლობის იმუნიტეტით სარგებლობს და ტერიტორია მშვიდად დატოვა.

ადგილობრივების თქმით, ფაქტი 5 დღის წინ, ღამის 2 საათზე მოხდა. დეპუტატმა მიწაში დამალული ნარკოტიკი ამოიღო, სწორედ ამ დროს გამოიძახეს მათ პოლიცია.

– ეს ჩვენთვის წმინდა ადგილია. უკვე ათი დღეა ვებრძვით. ერთ დღეს ვიჭერთ და პოლიციას ვაბარებთ. იგივე ხალხი მეორე დღეს ისევ მოდის აქ. ერთ-ერთმა მოწმობა მაჩვენა და მითხრა, რომ პარლამენტში მუშაობს. პოლიციაც მოვიდა და თქვა, რომ პარლამენტში მუშაობენ. ამიტომ გაუშვეს. რა უნდოდა აქ ღამით? თან ქალიც ახლდა, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი.

მოსახლეობა ამბობს, რომ სასაფლაოს ღობეც შემოავლეს, თუმცა მალევე ის მოიპარეს.

შსს-მ გუშინვე უარყო ინფორმაცია, რომ გაჩიანის სასაფლაოზე დამალული ნარკოტიკის მოსაძებნად რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი პარლამენტარიც იმყოფებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გაჩიანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ბოლო 5 დღის განმავლობაში, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 6 პირი დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, სხვადასხვა ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღო.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, გაჩიანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის შესაძლო ფაქტების აღკვეთის და პრევენციის მიზნით, ბოლო 10 დღეა პატრულირებენ. სამართალდამცველები 24 საათიან რეჟიმში პატრულირებას განაგრძობენ და შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ყველა შესაძლო ფაქტი ოპერატიულად იქნება აღკვეთილი“, – განაცხადეს შსს-ში.

# ადვოკატი: „დეპუტატის შვილის, ბექა ხახუბიას დაღუპვის დღეს პოლიციელები კანონიერად მოქმედებდნენ“

– მიგვაჩნია, რომ 16 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრო აბსოლუტურად კანონიერად მოქმედებდა, როცა გზა გადაკეტა და აბსოლუტურად კანონიერად მოქმედებდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, როცა ხახუბიას დაკავების მიზნით ტრაილერის გამოყენებით გზის გადაკეტვა მოახდინეს, – აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დეპუტატ ირაკლი ხახუბიას შვილის, ბექა ხახუბიას დაღუპვის საქმეში ბრალდებული პოლიციელების ადვოკატმა, ნოდარ ცინცაძემ განუცხადა.

მან გასულ სასამართლო სხდომაზე საქმეზე ახალი მტკიცებულების დართვის შესახებ შუამდგომლობა დააყენა. როგორც ადვოკატი აცხადებს, სამართალდამცავების მიერ, ინაუგურაციის დროსა და ხახუბიასთვის გზის გადაკეტვის ეს ორი შემთხვევა სასამართლომ გარკვეულ პარალელში უნდა განიხილოს.

– მოგეხსენებათ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, ბრალდების მხარე ედავება იმას, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება გზის შეზღუდვისას გამოეყენებინათ მძიმე საშუალება, ტრაილერი. მოგეხსენებათ, 16 დეკემბერს, ინაუგურაციის ჩატარების დღეს, საპატრულო პოლიციამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა დანაყოფებმა მოახდინეს გზის მოძრაობის მაქსიმალური შეზღუდვა, ზოგ ნაწილებში გადაკეტვა, სადაც გამოყენებული იქნა როგორც ტრაილერები, ისე ავტობუსები და სხვა მძიმე სატრანსპორტო საშუალებები.

დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ ორივე შემთხვევაში, როგორც 16 დეკემბერს, ისე მოცემულ საქმეზე, მიზანი იყო ლეგიტიმური. ერთ შემთხვევაში, მიზანი იყო ინაუგურაციის უსაფრთხოდ ჩატარება, ხოლო ჩვენ შემთხვევაში მიზანი იყო დამნაშავე მძღოლის დაკავება მისი შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად კანონიერად მოქმედებდა 16 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრო, როცა გზა გადაკეტა და აბსოლუტურად კანონიერად მოქმედებდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, როცა ხახუბიას დაკავების მიზნით ტრაილერის გამოყენებით გზის გადაკეტვა მოახდინეს. ჩვენ ვაპირებთ დამატებითი მტკიცებულებების წარდგენას, რადგან ეს ორი შემთხვევა განხილულ იქნას გარკვეულ პარალელში, – აცხადებს ცინცაძე.

მისივე განმარტებით, თუ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიმართ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი, მსგავსი გადაწყვეტილება 16 დეკემბერს მომხდარ მოვლენასთან მიმართებაშიც უნდა გამოიყენონ.

– იმ შემთხვევაში, თუ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიმართ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი, რისი მოლოდინიც არ გვაქვს, ეს განაჩენი შეიძლება გამოყენებული იქნეს 16 დეკემბერს მომხდარ მოვლენასთან მიმართებაში, ვინაიდან იქაც შეიძლება ბრალდება იქნეს წაყენებული.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ახალი გარემოება. ხომ არ შეიძლება ერთ შემთხვევაში, საპატრულო პოლიციას დამნაშავე მძღოლის დასაკავებლად ეს უფლება არ ჰქონდეს და სხვა შემთხვევაში, სხვა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს გზის გადაკვეთის უფლება ჰქონდეს. ეს ხომ დაუშვებელია? ან ორივეს ჰქონდა ამის უფლება, ან ორივეს არ ჰქონდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ორივე შემთხვევაში, მათ კანონი აძლევდა, – აცხადებს ცინცაძე.

მისივე განმარტებით, ამ ეტაპამდე გამოკვლეული მასალებით, სამართალდამცავთა ბრალეულობა არ იკვეთება.

– ამ ეტაპამდე გამოკვლეული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ბრძანება, რომელიც ოცმეთაურმა გასცა ხახუბიას დაკავების შესახებ, იყო აბსოლუტურად კანონიერი. რა თქმა უნდა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები ასრულებდნენ სავალდებულოდ შესასრულებელ დავალებას, ისინი მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში, – დასძენს ადვოკატი.

# სამტრედიასთან 11 წლის გოგონას სამხედრო სერჟანტი ა.ჩ. დაეჯახა

## თავდაცვის სამინისტროს განცხადება



თავდაცვის სამინისტრო სამტრედიაში მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ბავშვი დაიღუპა, განცხადებას ავრცელებს.

„ინტერპრესნიუსი“ განცხადებას გთავაზობთ:

„სამტრედიის მუნიციპალიტეტში, VI საარტილერიო ბრიგადის სერჟანტის მოვალეობის შემსრულებელი ა. ჩ. სამტრედიიდან ხონის მიმართულებით სამსახურეობრივი ავტომობილით გადაადგილდებოდა, როდესაც ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა. ავარიის შედეგად დაშავებული გოგონა სამტრედიის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ამ ეტაპზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს – უკვე გამოკითხულია მძღოლი და დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა. გამოძიებას იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ხონის რაიონული სამმართველო აწარმოებს. მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს 6-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მომხდარის გამო და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს“.

# გენერალმა მატისმა სირიიდან ჯარის გამოყვანის განკარგულება გამოსცა



გენერალი მატისი პოსტს თებერვლის ნაცვლად 1 იანვარს დატოვებს. მიზეზი მატისის მიერ ტრამპის საგარეო პოლიტიკის კრიტიკა გახდა.

გენერალს თავდაცვის მინისტრის პოსტზე მისი მოადგილე შენახანი შეცვლის. მანამდე კი გენერალმა სირიიდან ჯარის გამოყვანის განკარგულებას ხელი მოაწერა.

– პრეზიდენტმა ტრამპმა, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, სირიიდან ჯარის გაყვანა გადაწყვიტა. მე, როგორც დისციპლინირებული ჯარისკაცი, მოვალე ვარ, მას დავემორჩილო. ტრამპის პოლიტიკას არ ვეთანხმები, ამიტომაც გადადგომის თაობაზე ვაცხადებ, – ამბობს მატისი.

# ეუთო: რუსეთსა და უკრაინას შორის ომის რეალური საფრთხეა



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ დონბასში ფეთქებადსაშიში ვითარება შეიქმნა.

– ომი შესაძლოა უახლოეს დღეებში დაიწყოს! უკრაინული არმია შეტევისთვის ემზადება! – თქვა მან.

ეუთოს გენერალურმა მდივანმა ტომას გრემინგერმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ქერჩის სრუტეში მომხდარი ინციდენტი შესაძლოა დონბასის ომში საშიში პროცესების კატალიზატორი გახდეს.

– რუსეთსა და უკრაინას შორის ესკალაციის რეალური საფრთხე არსებობს. რუსეთის ხელმძღვანელობას არ გააჩნია პოლიტიკური ნება, რომ კომპრომისზე წავიდეს. უკრაინა კი რუსული დიქტატის წინაშე ქედის მოხრას არ აპირებს, – აღნიშნა გრემინგერმა.

# ჩავუშოღლუ: „თურქეთს მარტოს შეუძლია სირიაში ისლამური სახელმწიფოს განადგურება“



– თურქეთს მარტოს შეუძლია სირიაში ისლამური სახელმწიფოს განადგურება, – ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა.

მან ასევე აღნიშნა, რომ თურქეთი მზად არის რუსეთთან, ირანთან და კოალიციის ფარგლებში პარტნიორებთან ითანამშრომლოს აღნიშნულ საკითხში.

– ჩვენ ყოველთვის ყველასთან ვითანამშრომლებთ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში, გარდა ტერორისტული დაჯგუფებებისა. მე ვსაუბრობ არა სირიის რეჟიმზე, არამედ რუსეთზე, ირანზე და კოალიციის ფარგლებში პარტნიორებზე. თუმცა, თურქეთს მარტოსაც შეუძლია სირიაში ისლამური სახელმწიფოს განადგურება, – განაცხადა თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მევლუთ ჩავუშოღლუმ ასევე აღნიშნა, რომ ანკარა და ვაშინგტონი მანბიჯის საკითხზე საგზაო რუკის განხორციელების დასრულებაზე შეთანხმდნენ.

24 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ის დაარწმუნა, რომ სირიაში გაანადგურებს იმას, რაც ისლამური სახელმწიფოსგან დარჩა.

# ლუკაშენკო: „რუსეთი ჩვენი მოძმე სახელმწიფო აღარ არის!“



ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლებაში ახალი თაობა მოვიდა. მათ ბელორუსი აღარ მიაჩნიათ მოძმე ქვეყნად.

– რაკი ასეა, დაე, ასე იყოს! რუსეთიც ჩვენი მოძმე სახელმწიფო აღარ არის, – თქვა ლუკაშენკომ.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ ბელორუსის პრეზიდენტის ასეთი პოზიცია მოსკოვის უკანასკნელი ვიზიტის დროს მომხდარმა ექსცესმა განაპირობა. მაშინ ლუკაშენკოს რუსეთ-ბელორუსის გაერთიანება შესთავაზეს. ბელორუსის პრეზიდენტმა ამაზე პასუხი არ გასცა. მან რუსებს მხოლოდ სამი თითის კომბინაცია უჩვენა.

ბელორუსში შექმნილი მდგომარეობა ლუკაშენკოსთვის სახარბიელო ნამდვილად არაა. ლუკაშენკოს პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში პრორუსული განწყობილებები დომინირებენ. ბელორუსების 60-62% რუსეთთან გაერთიანების მომხრეა.

ლუკაშენკოც რუსეთთან რადიკალურ დაპირისპირებისთვის არ არის განწყობილი. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ რუსეთი ყველაზე ახლო და საიმედო პარტნიორია.

– ჩვენც რუსეთის პარტნიორი ქვეყანა ვართ, – ამბობს ლუკაშენკო.

ბელორუსი, მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის გავლენის ქვეშ რჩება. ეს ნათლად დაადასტურა გაეროში ჩატარებულმა უკანასკნელმა კენჭისყრამ, როდესაც იხილებოდა რეზოლუცია რუსეთის მიერ ყირიმში ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე.

ბელორუსმა რუსეთს დაუჭირა მხარი.



# პაკისტანის ყოფილ პრემიერს პატიმრობა მიუსაჯეს

პაკისტანის ყოფილი პრემიერი ანტიკორუფციული სასამართლოს წინაშე წარდგა. შარიფმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, თუ რა სახსრებით შეიძინა ქარხანა საუდის არაბეთში.

ყოფილ პრემიერს 7 წლით პატიმრობა მიესაჯა.

# კონგოში ავტობუსი სატვირთოს შეეჯახა

## 50 ადამიანი დაიღუპა

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამგზავრო ავტობუსისა და სატვირთო მანქანის შეჯახების შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას რადიოსადგური ოკაპი ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

შემთხვევა ქალაქ კისანტუში მოხდა.

წინასწარი მონაცემებით, ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი ორივე მძღოლის მხრიდან სიჩქარის გადაჭარბება იყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავებაშეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რა არის ბოქსინგ დეი



დღეს 26 დეკემბერია... ბოქსინგ დეი... ერთ-ერთი უდიდესი ინგლისური საფეხბურთო ტრადიცია.

ეს რა არის? ინგლისელებისთვის ძალიან ბევრი რამ... პირველ რიგში, ეს არის სრული კომპლექტი პრემიერლიგის 10 თამაშის, რომელიც ერთ დღეს ტარდება. ასეთი რამ ხშირად არ ხდება. მხოლოდ ახალ წელს და ბოლო ტურში შეგიძლიათ ისიამოვნოთ საფეხბურთო ნონ სტოპით. ამ დღეს მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ინგლისისკენ კონცენტრირდება. რამდენიმე მიზეზის გამო ეს არის ერთი განსაკუთრებული დღე ინგლისელი საფეხბურთო ფანატების უმეტესობისთვის.

ბოქსინგ დეი ინგლისში ახალ წელთან არის გაიგივებული, ოღონდაც საჩუქრების გარეშე. შობიდან 24 საათში ოჯახის წევრები იკრიბებიან, აღნიშნავენ კიდევ ერთ დღესასწაულს, მკურნალობენ ნაბახუსევს და, რაც მთავარია, ისინი ყველანი უყურებენ ფეხბურთს.

ცხადია, წელსაც ანალოგიური მოხდება, ყველა გუნდი ითამაშებს. ეს სასიხარულო მოვლენაა, თუმცა, ატმოსფერო ნერვიულობითაა გაჯერებული, სეზონი გახურებულია, ოპტიმიზმის შადრევანი ყველა მხრიდან იღვრება, ოჯახები იკრიბებიან რათა თავი ფეხბურთს მიუძღვნან.

მთავარი კითხვაა: რომელზეა დღეს ფეხბურთი?

26 დეკემბერი როგორც გულშემატკივრებისთვის, ასევე ფეხბურთელებისთვის განსაკუთრებული დღეა და მას მხოლოდ პირველი და ბოლო ტური თუ შეედრება. ათასობით საზეიმოდ გამოწყობილი ადამიანი ინგლისის საფეხბურთო სტადიონებს სტუმრობს და ყველამ იცის, რომ ეს ყველაზე დასწრებადი დღეა მთელი სეზონის განმავლობაში.

ბოქსინგ დეიზე ბილეთები მომენტალურად იყიდება. ხშირად ოჯახის წევრები ერთად მიდიან, რათა საყვარელ გუნდს უქომაგონ. მოწინააღმდეგე გულშემატკივრებს შორისაც კი საკმაოდ მეგობრული დამოკიდებულებაა, ვინაიდან ეს საზეიმო მატჩებია. შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ ასეთი რამ ხშირი არ არის. შეძახილებიც კი მეგობრულია და არ შეიცავს რაიმე შეურაცხმყოფელს.

თუმცა, ხდება ხოლმე, როდესაც ბოქსინგ დეიზე ბევრი მატჩი არ ჩატარებულიყო, ვინაიდან ამ პერიოდში მოედნები ხშირად წყლითაა სავსე და მოყინულია, მაგრამ იშვიათად ყოფილა, რომ თამაში გადადებულიყოს. ფეხბურთელები ამ დღეს მუშაობენ. რას იზამ ასეთია მათი ხვედრი...

ბოქსინგ დეი ძალიან დიდი ხანია ტარდება და ფესვები ღრმად აქვს გადგმული ისტორიაში. 26 დეკემბერს ტარდება დოღი, რაგბი და რა თქმა უნდა ფეხბურთი. ეს ხდება ინგლისში, შოტლანდიაში, უელსში, ირლანდიაში.

ოფიციალურად ამ დღეს აღნიშნავენ დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ჰონგ კონგი, ზელანდია, მალტა და კიდევ რამდენიმე ქვეყანა. მაგრამ რატომ ეწოდება ბოქსინგ დეი (კოლოფების დღე)? ტრადიციის თანახმად, ერთ დროს გამყიდველები უნდა მისულიყვნენ სახლში იმ ადამიანებთან, რომლებზეც მუშაობდნენ, რათა მიეღოთ საჩუქარი კოლოფში – ჯილდო მთელი წელი ერთგული სამსახურისთვის.

არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი მოწინააღმდეგე ჰყავს ამ ტრადიციას, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი არსებობენ. ბრიტანეთში მათ ხისთავიანებს უწოდებენ, ადამიანებს, რომელთაც სურთ, სიწმინდე შებღალონ, თუმცა ეს არასოდეს გამოუვათ.

ეს სათაყვანებელი დღეა ინგლისის ფეხბურთისთვის. ეს სასიხარულო დღეა ძალიან ბევრი მიზეზის გამო, რომელიც არასოდეს არ უნდა შეწყდეს!

ასეთია კონსერვატორი ბრიტანელების აზრი და იდეაფიქსი.

# კლოპი საკუთარ თავსა და სალაჰზე საუბრობს




გერმანელი სპეციალისტის იურგენ კლოპის განცხადებით, მისი ლივერპულში მოღვაწეობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ტიტულებზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად იქნება „ენფილდის“ პუბლიკა კმაყოფილი.

ჰერ იურგენი მერსისაიდელთა სათავეში 2015 წელს მოვიდა, გარკვეული სამუშაოები ჩაატარა და კლუბი კვლავინდებურად მრისხანე ძალად ჩამოაყალიბა, თუმცა ტიტულების გარეშე. კლოპის აზრით, სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, გაუხანგრძლივებენ თუ არა კონტრაქტს, რომელსაც ვადა 2022 წლამდე აქვს.

**იურგენ კლოპი:**

– არ მინდა, ზედმეტად წინ წავიდე. თუ პრესაში დაიწერება, რომ ხელშეკრულებას ვახანგრძლივებ, ხალხი ამაზე ბევრს ისაუბრებს. თუმცა, ყურადღებას გაამახვილებენ, რომ ტიტულები არ მომიგია. დიახ, ეს სრული სიმართლეა, ამიტომ საერთოდ არ ვფიქრობ 2022 წელზე, იქამდე ხომ ძალიან დიდი დროა. თუ მიმდინარე სეზონში ტიტულს მოვიგებთ, ისეთი ადამიანებიც გამოჩნდებიან, რომლებიც იტყვიან, რომ გამარჯვებულ ნოტაზე უნდა დავტოვო კლუბი, ვინაიდან მომავალში ველარაფერს მოვიგებთ. ასევე იქნებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ თუ ვერაფერი მოვიგეთ უნდა წავიდე. იქამდე კი ჩვენ ვტკბებით თანამედროვე თავგადასავლით – მფლობელებიდან და ფეხბურთელებიდან დაწყებული, გულშემატკივრით დასრულებული. ბოლომდე უნდა ვეცადოთ და, თუ რაიმე მომენტში არ გაგვიმართლებს, ამ საკითხს არ ჩავუღრმავდებით.

კლოპი ასევე 2 მიზეზს ასახელებს, რის გამოც მოჰამედ სალაჰის სტარტი არცთუ შთამბეჭდავი იყო.

გეტყვით, რომ გასულ სადებიუტო მერსისაიდულ სეზონში ეგვიპტელმა ფეხბურთელმა 44 გოლი გაიტანა, ხოლო მიმდინარე სეზონის სტარტზე მისი მონაგარი მხოლოდ 3 გოლს (9 მატჩში) შეადგენდა. „ბოროტმა ენებმა“ იმის მტკიცებაც კი დაიწყეს, რომ სალაჰი „ერთი სეზონის ფეხბურთელი“ იყო, თუმცა მომ ყველა მალევე დაადუმა და ამჟამად მის ანგარიშზე 14 გატანილი გოლია ყველა ტურნირის მასშტაბით.

კლოპის განცხადებით, ლიგის ფინალში მიღებულმა მხრის ტრავმის გართულებამ თავისი გავლენა იქონია, ასევე ფეხბურთელს მოუწია განსხვავებულ სათამაშო სტილზე გადასვლა.

– მიმდინარე სეზონში მას განსხვავებულ პოზიციაზე მოუხდა ადაპტირება. გვჭირდებოდა, რომ ის უფრო აქტიური ყოფილიყო და მეტი მონაწილეობა მიეღო ბურთის გათამაშებაში. რა თქმა უნდა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მისი სწრაფი გარღვევები და მონაწილეობა დამაგვირგვინებელ ფაზაში, თუმცა ის ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, ამიტომ შეუძლია, თავის თამაშს გარკვეული ელემენტები შემატოს – არა მხოლოდ სისწრაფე ან დასკვნითი დარტყმა, არამედ ბურთის დაჭერის უნარიც. ამისათვის საჭიროა ჯანსაღი სხეული, სალაჰს კი სეზონის დასაწყისში პრობლემები ჰქონდა, ვინაიდან სრულად არ იყო გამოჯანმრთელებული. ის კვლავინდებურად რჩება მსოფლიო დონის შემტევად. კარგად ვიცოდით, რომ უნდა დაგვეცადა, სანამ მო იდეალურ ფიზიკურ კონდიციაში არ იქნებოდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ქუთაისი ერთპიროვნულად ლიდერობს



**ოლიმპი-ქუთაისი 82:87**
**(23:25, 21:22, 11:18, 27:22)**

გათამაშების ლიდერი ქუთაისი ოლიმპს ესტუმრა და დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა – 87:82.

ოლიმპი მიმდინარე სუპერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი გუნდია და უიმედოდ არც ერთი მატჩი არ წაუგია. არც ქუთაისელებთან დაუყრიათ ოლიმპელებს ფარ-ხმალი და ბოლომდე იბრძოლეს, თუმცა იმერული კლუბი მოწოდების სიმაღლეზე იყო როგორც მატჩის შუაწელში, ისე დასკვნით ეპიზოდში, რის ხარჯზეც მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

ძირითადად, თამაშის სცენარი იყო ასეთი: ქუთაისი ლიდერობდა, ოლიმპი კი წამოწევას ცდილობდა, რაც რამდენჯერმე გამოუვიდა კიდეც, თუმცა დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილ გუნდს სტაბილურობა აკლდა და ერთ ეპიზოდში რომ კარგად ითამაშებდა, შემდეგ ჩავარდნა ჰქონდა.

მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ ქუთაისელებმა მესამე პერიოდში მოუმატეს და აკაკი დვალიშვილის, ლევან ფაცაციას და გიორგი ბარბაქაძის შედეგიანობით ათწუთეული 18:11 მოიგეს. ბოლო პერიოდის წინ სტუმრები 10 ქულით იგებდნენ, ხოლო ოლიმპი ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ყველაფერს აკეთებდა. მარკ ოგდენი ძალიან შედეგიანად თამაშობდა, რომელსაც ნიკა დარბაიძეც ეხმარებოდა, თუმცა მთლიანობაში, ოლიმპს გუნდური თამაშის ორგანიზება აკლდა და მეტოქის წამოსაწევად მცირედი აკლდებოდა. მატჩიც დასრულებამდე 2 წუთით ადრე დარბაიძის სამქულიანმა მასპინძლების ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა, თუმცა ქუთაისის კალათბურთელებმა ბოლო შეტევები აღარ გააცუდეს, სტაბილურად ჩაითამაშეს დარჩენილი დრო და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

იმერლებს 20 ქულით და 9 მოხსნით აკაკი დვალიშვილმა ულიდერა. 16 ქულა მოაგროვა გიორგი ბარბაქაძემ, ლევან ფაცაციას ანგარიშზე კი 14 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. ოლიმპში 31 ქულითა და 16 მოხსნით საუკეთესო იყო მარკ ოგდენი. 19 ქულა და 8 პასი ჩარლზ ოგდენმა მიითვალა, ხოლო ნიკა დარბაიძის ანგარიშზე 13 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა.

**დელტა-თსუ-ჰიუნდაი 79:72**
**(25:12, 18:15, 20:24, 16:21)**

სუპერლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა თსუ-ჰიუნდაიმ სუსტი მატჩი ჩაატარა და მიმდინარე სეზონში მე-2 დამარცხება განიცადა. თავის მხრივ, დელტამ ჩემპიონატში მე-4 გამარჯვებას უწია და დაკარგული ქულების მხრივ ცხრილში დაწინაურდა.

დელტამ თამაში ძალიან სწრაფად და, რაც მთავარია, შედეგიანად დაიწყო. 3-ქულიანებითა თუ სწრაფი პირველი შეტევებით ლექსო ლაფანაშვილის გუნდი ქულას ქულაზე იხვეჭდა და პირველი პერიოდი 25:12 მოიგო, ხოლო დიდი შესვენებისთვის ლიდერობა 16 ქულამდე გაზარდა – 43:27.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა რამდენჯერმე აიღო წუთშესვენება, თუმცა პირველ ნახევარში თსუ-ჰიუნდაელთა თამაში ვერ გამოასწორა. მესამე პერიოდში დელტას ლიდერობამ 20 ქულას გადააჭარბა, რაც თითქმის უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. მართალია, დებიუტანტი ბენჯამინ ვოზოლასა და მის თანაგუნდელთა მონდომებით ბოლო პერიოდში თსუ-ჰიუნდაიმ 5 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა, თუმცა თამაშის მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. დელტას კალათბურთელებმა მეტი მობილიზებით ითამაშეს ბოლო წუთები და გამარჯვებამდე მიიყვანეს – 79:72.

15 ქულითა და 9 მოხსნით დელტას ბექა ბექაურმა ულიდერა. 13 ქულა მიითვალა არტიომ შვეცმა, ხოლო ოთარ ფხაკაძის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა. თსუ-ჰიუნდაიში 16 ქულით საუკეთესო იყო ამერიკელი დებიუტანტი ბენჯამინ ვოზოლა. 12 ქულა მოაგროვა ჯეიმზ მილიკანმა.

**ბათუმი-დინამო 66:79**
**(12:20, 16:21, 21:21, 17:17)**

ბათუმმა დინამოს“ უმასპინძლა და სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. დინამოელებმა 79:66 იმარჯვეს და ეს ირაკლი ხოშტარიას გუნდის ზედიზედ მე-5 გამარჯვება იყო მიმდინარე სუპერლიგაში.

ყველაფერი დასაწყისში გადაწყდა – დინამომ ორგანიზებული დაცვა დააყენა და მეტოქეს ქულების მოხვეჭის შესაძლებლობას უსპობდა, თავად კი გუნდურად შესანიშნავად თამაშობდა. პირველი მეოთხედი დინამომ 8 ქულით მოიგო, რასაც მეორე პერიოდში კიდევ 5 წაამატა და დიდი შესვენებაზე სოლიდური ჰანდიკაპით გავიდა – 41:28.

მესამე და მეოთხე პერიოდები თანაბარი ანგარიშით დასრულდა და საბოლოოდ, დინამოელთა 13-ქულიანი გამარჯვება დაფიქსირდა.

ირაკლი ხოშტარიას გუნდს ჯორდან შვოპშირმა ულიდერა 18 ქულითა და 11 მოხსნით. კიდევ ერთი ორმაგი დუბლი დემაგოი ბუბალო მიითვალა – 15 ქულა, 11 მოხსნა. 18 ქულა ჰქონდა ლევან გრძელიძეს, ხოლო მერაბ ბოლოქოლიშვილს – 13. ამდენივე ქულა დაუგროვდათ ზღვისპირელთა ლიდერებს – სპენსერ კოლინზსა და ლეველენზერ ბუსის.

**კაკტუსი-მგზავრები 88:102**
**(19:27, 29:29, 20:31, 20:15)**

ერთმანეთს ცხრილის შუაში მყოფი მგზავრები და ერთ-ერთი აუტსაიდერი კაკტუსი შეხვდნენ. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

კაკტუსმა სუპერლიგა ოლიმპის დამარცხებით დაიწყო, თუმცა შემდეგ ზედიზედ 6 მარცხი განიცადა და ამ ეტაპზე უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია. არჩილ ჟღენტის გუნდმა 2 ამერიკელი გაუშვა და ჯერჯერობით ერთი ახალი ლეგიონერი ჩამოიყვანა – დელანო სპენსერი, რომელმაც დღევანდელ მატჩში ყველაზე მეტი – 37 წუთი ითამაშა და 23 ქულა მოაგროვა. მისი სამქულიანების პროცენტულობა არასახარბიელო იყო – 9 ცდიდან მხოლოდ 1 ჩააგდო, თუმცა ეტყობა, რომ ყოჩაღია და კაკტუსელებს გამოადგება.

მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა. დიდი შესვენებისთვის მგზავრები 8 ქულით იგებდნენ, მომდევნო პერიოდში კი 31:20 იმარჯვეს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 19 ქულით გალიდერდნენ. თამაში ისე ჩამთავრდა, მგზავრების მოგებას საფრთხე არ დამუქრებია.

გამარჯვებულებს 26 ქულით კახა ჯინჭარაძემ ულიდერა. 22 ქულა ჯეიკობ არმსტრონგის ანგარიშზეა, ხოლო ადრიან ბოუიმ გამარჯვებულებს 19 ქულა მიაშველა. კაკტუსში 23 ქულით ზემოთ ნახსენები სპენსერი გამოირჩა. 21 ქულა – ნიკოლას ნილმა, ხოლო 19 ბექა ჩიკვილაძემ დააგროვა.

**რუსთავი-შსს აკადემია-ტიტები 81:86**
**(21:24, 22:21, 24:22, 14:19)**

რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა რუსთავმა შსს აკადემია-ტიტებს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 81:86 წააგო.

ყველაფერი ბოლო მეოთხედში გადაწყდა. მანამდე გუნდები ტოლსწორად ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. საწყისი მონაკვეთი ტიტების იყო, რომელმაც პირველი პერიოდი 3 ქულით მოიგო. ამ მცირე ჩამორჩენის აღმოფხვრას რუსთავი 2 პერიოდი მოუნდა: მეორე ათწუთეული ქულით მოიგო, მესამე მეოთხედი 2 ქულით და დასკვნითი პერიოდის წინ ანგარიში თანაბარი იყო.

ბოლო 10-წუთეულში კი ტიტებმა იყოჩაღეს, დაცვაში უკეთ ითამაშეს, შეტევაშიც აჯობეს მეტოქეს და საჭირო ქულები მიითვალეს.

ტიტებმა ძირითადად მაღლების ხარჯზე იმარჯვა: ილია ლონდარიძე 25 ქულა, 8 მოხსნა მოაგროვა, ჟოელ ალმეიდა 14 ქულა და 13 მოხსნა, ხოლო გიორგი შარაბიძემ 17 ქულა მიითვალა. რუსთაველებს ულიდერა დერილ ბრაიანტმა – 34 ქულა, 8 პასი. ისააკ ბენქსმა 17 ქულა მიითვალა, მაგრამ მათმა გარჯამ ქვემოქართლელები მარცხისგან ვერ იხსნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 7 | 6 | 1592:551 | 13 |
| 2.ჰიუნდაი | 7 | 5 | 2567:531 | 12 |
| 3.დინამო | 7 | 5 | 2520:496 | 12 |
| 4.მგზავრები | 7 | 4 | 3564:540 | 11 |
| 5.ოლიმპი | 7 | 3 | 4567:537 | 10 |
| 6.დელტა | 6 | 4 | 2471:428 | 10 |
| 7.ტიტები | 6 | 3 | 3473:484 | 9 |
| 8.ბათუმი | 7 | 2 | 5532:591 | 9 |
| 9.რუსთავი | 7 | 1 | 6530:584 | 8 |
| 10.კაკტუსი | 7 | 1 | 6544:618 | 8 |

# ბითაძის დებიუტი ახალ კლუბში შედგა




გოგა ბითაძის დებიუტი ჩერნოგორიულ ბუდუჩნოსტში შედგა. მართალია, მისი გუნდი მოულოდნელად აუტსაიდერთან დამარცხდა, მაგრამ ეს ახალგაზრდა ქართველის დანაშაული ნაკლებად იყო. 19 წლის ქართველი თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ადრიატიკის ლიგის მე-12 ტურში მეორეადგილოსანი ბუდუჩნოსტი სლოვენიის ქალაქ ნოვო მესტოში შეხვდა აუტსაიდერ კრკას და დაძაბულ ბრძოლაში – 64:69 დამარცხდა. ბითაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 26 წუთი გაატარა, რა დროშიც 12 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 2 ორქულიანი, 2-ვე სამქულიანი და 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ბუდუჩნოსტში 16 ქულით ბომბარდირი გახდა პეტარ პოპოვიჩი, ხოლო ბითაძემ, კოტი კლარკმა და დდვინ ჯეკსონმა 12-12 ქულა დააგროვეს.

ბუდუჩნოსტს 8 მოგება და 4 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში 2-4 ადგილებს ბითაძის წინანდელ გუნდ მეგა ბიმაქსთან და ზაგრების ცედევიტასთან ინაწილებს.

ადრიატიკის ლიგის მომდევნო მატჩს პოდგორიცული გუნდი სტუმრად, ერთპიროვნულ ლიდერ ცრვენა ზვეზდასთან გამართავს, თუმცა მანამდე ბითაძის დებიუტი ევროლიგაში შედგება – ბუდუჩნოსტი მიუნხენში ბაიერნს დაუპირისპირდება.

# საბურთალო ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს



პირველი, ვინც მომავალი სეზონის მზადებისთვის გრაფიკი გამოაქვეყნა, საქართველოს ჩემპიონი საბურთალოა. როგორც ირკვევა, დედაქალაქური კლუბი მზადებას 10 იანვარს განაახლებს. საბურთალო ადგილზე შეიკრიბება, 12-13 იანვარს კი „ზამთრის თასის“ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდები მომავალი წლის დასაწყისშიც 2 შეკრებას გაივლიან, ორივეს თურქეთის ქალაქ სიდესა და ლარაში. პირველ შეკრებაზე გუნდი 20 იანვრიდან 2 თებერვლამდე მოემზადება, შემდეგ კი 6-19 თებერვლამდე. უკვე გარკვეულია რამდენიმე სპარინგ-მეტოქეების ვინაობაც: თბილისელები რუმინეთის უმაღლეს ლიგელ ვიტორიუს დაუპირისპირდებიან, რომელიც შიდა ჩემპიონატში მე-5 ადგილზე იმყოფება. ასევე, გაეჯიბრებიან მაკედონიის მესამე ადგილზე მყოფ რაბოტნიჩკსა და რუსეთის პრემიერლიგის ახმატს. დანარჩენი მოწინააღმდეგეების ვინაობას უახლოეს დღეებში გაირკვევა.

წამსვლელ-მომსვლელებზეც: გუნდი უკვე დატოვეს დიმიტრი ტატანაშვილმა, დავით თარგამაძემ, დავით ვოლკოვმა და ნოდარ იაშვილმა. ცნობილია მხოლოდ იაშვილისა (დინამო თბილისი) და ვოლკოვის (ტორპედო ქუთაისი) მომავალი გუნდები.

ასევე საუბრები მიდის რომ გუნდში აღარ არიან მეკარეები კაზარე კუპატაძე და ბექა ქურდაძე. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ გუნდში უკვე მივიდა გამოცდილი კიპერი ომარ მიგინეიშვილი – მხარეებს შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა.

მიგინეიშვილი სხვადასხვა დროს ტორპედოს, დინამოს, რუსთავის, ზესტაფონისა და სამტრედიის ღირსებას იცავდა.

უკრაინულ მედიაში ასევე გაიჟღერა ინფორმაციამ რომ საბურთალოში გააგრძელებს კარიერას ოდესის ჩერნომორეცის მეკარე სერგეი ლიტოვჩენკო, რომლისთვისაც საქართველო უცხო არ არის და თავის დროზე ზუგდიდსა და თბილისის დინამოში უთამაშია.

თუმცა, ეს საკმარისი არ არის. ევროთასებმა ბევრჯერ გვიჩვენა, რომ გაძლიერებას სათანადო დონეზე ვერ ვახერხებთ. რას აპირებს ამ კუთხით ქვეყნის ჩემპიონი?

**გიორგი ჭიაბრიშვილი:**

– რამდენიმე უცხოელ ფეხბურთელთან გვაქვს მოლაპარაკება, რომელიც თითქმის დავასრულეთ. როდესაც გუნდი ვარჯიშს დაიწყებს ეს ფეხბურთელებიც ადგილზე იქნებიან. არ მინდა ბევრი ლეგიონერი, მირჩევნია იყოს ნაკლები და ხარისხიანი, რადგან ჩემი გუნდის საქართველოს ჩემპიონატშიც და ევროტურნირებშიც მჯერა. მირჩევნია, ისეთი ჩამოვიყვანოთ, ვისაც მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება აქვს. ჩემი ფეხბურთელები პროფესიონალები და კონკურენტუნარიანები არიან.

ვინ არის ეს 3 ფეხბურთელი, ჯერჯერობით ვერ გეტყვით, მხოლოდ ერთზე შეგვიძლია მოგაწოდოთ მცირე ინფორმაცია...

კონსტანტინ ნიცა 2013 წლის 11 ივლისს იტალიურმა ატალანტამ ბუქარესტის დინამოსგან შეიძინა. ნიცამ შემდეგი სეზონი ჩეზენაში გაატარა, შემდეგ იყო ლატინაში, ხოლო ბოლო 2 სეზონი იჯარით ბუქარესტის დინამოში გაატარა.

ნიცა რუმინეთის ეროვნულ ნაკრებშიც იყო მიწვეული, რომლის ფორმითაც 20 წლისამ ითამაშა – ეს 2013 წლის აგვისტოში სლოვაკეთის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მოხდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ვეგეტარიანელმა მშობლებმა ბავშვი რაქიტამდე მიიყვანეს



ავსტრალიაში ვეგეტარიანელების წყვილმა წლინახევრის ბავშვი სხეულის გამოფიტვამდე და რაქიტამდე მიიყვანა. მათ ის მკაცრ დიეტაზე დასვეს, რომლის დროსაც ცხოველური წარმომავლობის პროდუქტებს საერთოდ არ აძლევდნენ.

მშობლები, რომელთა ვინაობა არ სახელდება, გოგონას რძიანი შვრიის ფაფითა და ნახევარი ბანანით კვებავდნენ დილით, შუადღისას აძლევდნენ ტოსტს არაქისის კარაქით ან ჯემით, ხოლო საღამოს ისევ შვრიის ფაფას სთავაზობდნენ. მათი მტკიცებით, ბავშვის რაციონში კარტოფილისა და ბრინჯის შეტანასაც ცდილობდნენ, მაგრამ გოგონა „ჭირვეულობდა“ და მათ ჭამაზე უარს აცხადებდა.

ამ ყოველივეს შედეგად 19 თვის გოგონას წონა 4,9 კილოგრამს შეადგენდა. ექიმებმა ბავშვს კალციუმის, ფოსფატების, ვიტამინი ბ12-ის, ვიტამინი ა-ს, რკინისა და თუთიის სიმცირე დაუდგინეს, ხოლო ვიტამინი დ მის ორგანიზმში საერთოდ ვერ აღმოაჩინეს. ამ ყოველივემ რაქიტის განვითარება გამოიწვია – დაავადება, რომლის დროსაც ძვლები დეფორმაციას განიცდის და შესაძლოა ბავშვის განვითარება შეფერხდეს.

ექიმების თქმით, ბავშვის ძვლები ისეთი მყიფე იყო, რომ მისი ხელში აყვანის შემთხვევაშიც კი შესაძლოა, მოტეხილობა მიეღო.

ბავშვის 32 წლის დედა და 34 წლის მამა 16 იანვარს სასამართლოს წინაშე წარდგებიან. მათ რამდენიმეწლიანი პატიმრობა ემუქრებათ.

# ალმასების მაგნატმა მასობრივი ქორწილის ხარჯებიც დაფარა და პატარძლებიც მზითევით უზრუნველყო

ინდოელმა მილიონერმა გუჯარათის შტატის ქალაქ სურატიდან მზითევი შეიძინა უმამოდ დარჩენილი გოგონებისთვის.

მასობრივ ქორწილში, რომლის ორგანიზატორიც ალმასების მაგნატი მახეშ სავანი გახდა, 261 ქალი მონაწილეობდა. ყველა პატარძალს მამა გარდაცვლილი ჰყავდა, 54 სრულიად ობლად იყო დარჩენილი, ხოლო 118-ს არ ჰყავდა არც ძმა და არც და. ისინი სავანის დახმარების გარეშე ვერ გათხოვდებოდნენ, ვინაიდან მათ მზითევის შესაძენად საჭირო თანხა არ გააჩნდათ.



პატარძლები გუჯარათის ხელისუფლების მეთაურმა დალოცა. მამების როლი ინდურ საქორწინო რიტუალში თავად მილიონერმა, ასევე ჩინოსნებმა და პოლიციელებმა შეასრულეს. ყოველმა წყვილმა საჩუქრად მიიღო საყოფაცხოვრებო ნივთები და დაზღვევა 200 ათას რუპიაზე.

# შემოწირულების ყუთში ათასი დოლარის ოქროს მონეტები იპოვეს



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ლეიტჰაუზ-პოინტში უცნობმა ქველმოქმედმა „ხსნის არმიის“ შემოწირულებათა წითელი ფერის ყუთში ოქროს მონეტები ჩაყარა.

ყუთში სამი ცალი ოქროს მონეტა მექსიკური პესო იდო. მათი ღირებულება 3,6 ათასი დოლარია. მონეტები ცალ-ცალკე ერთდოლარიან კუპიურებში იყო გახვეული.

„ხსნის არმიის“ ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენლის თქმით, ეს ასეთი სახის პირველი შემოწირულება არ არის. ვიღაც ყოველი შობის დღესასწაულის დროს წითელ ყუთში ოქროს მონეტებს ყრის. 2016 წელს ყუთში ხუთი ოქროს მონეტა აღმოაჩინეს, 2017 წელს – სამი. მონეტების ერთდოლარიან კუპიურებში გახვევის ჩვევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამას ერთი და იგივე ადამიანი აკეთებს.

# დედამ შვილს შეცდომით კატის კანფეტები მისცა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა შეცდომით თავის გოგონას კატებისთვის განკუთვნილი კანფეტები უყიდა და, სანამ ოჯახი შეცდომას მიხვდებოდა, ბავშვმა მისი ნაწილი შეჭამა.



ჯესი ევანი უკიდურესად გაკვირვებული დარჩა, როდესაც მისმა ცხრა წლის გოგონა ალისამ აღარ შეჭამა მისთვის შობის დღესასწაულისთვის ნაჩუქარი კანფეტები, რომელიც კალენდარს მოჰყვებოდა. გოგონამ ოთხი ცალი შეჭამა და ამის შემდეგ ტკბილეულის მირთმევაზე კატეგორიული უარი განაცხადა. თავდაპირველად ქალმა იფიქრა, რომ ეს მისი ქალიშვილის ჭირვეულობით იყო გამოწვეული, შემდეგ კი გადაწყვიტა კანფეტების შემადგენლობა შეემოწმებინა.

აღმოჩნდა, რომ კალენდარი, კატა გარფილდის გამოსახულებით, კატებისთვის იყო განკუთვნილი და მასში ვაშლის შიგთავსიანი შოკოლადების ნაცვლად კატის პიტნისა და იოგურტის ნარევი ეწყო.

– ამან შოკში ჩამაგდო და თავი მსოფლიოში ყველაზე საშინელ დედად წარმოვიდგინე. 11 დღე დამჭირდა იმისთვის, რომ ეს შეცდომა გამომევლინა, – აღიარა ევანმა.

მისივე თქმით, მომხდარის გამო ალისა არ განაწყენებულა და დედასთან ერთად ბევრი იცინა. გოგონას მიერ შეჭმული კატის კანფეტები არანაირად არ ასახულა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დედა ალისას დაჰპირდა, რომ ახალ კალენდარს უყიდის და ამჯერად კარგად შეამოწმებს, თუ რას ყიდულობს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 26 დეკემბრისათვის



**ვერძი** – მოემზადეთ სასიკეთო ცვლილებებისათვის. მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით იმოქმედეთ. **კურო** – იღბლიანი დღეა შემოქმედებითი აქტიურობისათვის. წინააღმდეგობების დაძლევა არ გიჭირთ. **ტყუპები** – საკმაოდ დაძაბული, მაგრამ ნაყოფიერი და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **კირჩხიბი** – შინაგანი თავისუფლება საშუალებას გაძლევთ, ნებისმიერ სფეროში საკუთარი სათქმელი თქვათ. იზრდება სასიცოცხლო პოტენციალი. **ლომი** – ჩანაფიქრის რეალიზებაში კოლექტიური მუშაობა დიდ როლს შეასრულებს. დღის დევიზია კეთილგონიერება და წინდახედულობა. **ქალწული** – ემოციური აღმავლობის დღეა. მონახეთ ოქროს შუალედი. ნუ გადაიღლებით. **სასწორი** – იაქტიურეთ, მაგრამ ზღვარს ნუ გადახვალთ. იყავით კორექტული. **მორიელი** – ცოტა ხნით საქმეებს მოსწყდით და დასვენებაზე იფიქრეთ. ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმეთ. **მშვილდოსანი** – ქედმაღლობა, ტრაბახი და საკუთარი თავით აღფრთოვანება არ გარგებთ. ჩანაფიქრს მარტივად განახორციელებთ. **თხის რქა** – რთული დღეა. საქმე არც ისე იოლად მოსაგვარებელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **მერწყული** – მოსალოდნელია მცირედი იმედგაცრუება. თუმცა პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ავლენენ. **თევზები** – იოლად არავის მიენდოთ. დღეს თქვენი მოტყუება ადვილია. ფხიზლად იყავით და ბუნების წიაღში დაისვენეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სამიჯნურო ხასიათის სპარსული ოთხსტრიქონიანი ლექსი; 2. ადამიანის სულიერი განცდის, მღელვარების გამოვლენა; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 8. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 11. ორატორული ხელოვნების თეორია; 12. ამერიკელი ბიოქიმიკოსი, დნმ-ის აღმომჩენი; 16. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. აეროპორტი სინგაპურში; 18. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო.

**თარაზულად**: 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 5. მდინარე ქციას სახელწოდება ქვემო დინებაში; 7. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ სინას მეორე სახელი; 10. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 13. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 14. ცხარე ბოსტნეული; 15. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი; 19. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 20. ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 21. შემაგრებული ღვინო; 22. მოდუღებული ყურძნის წვენი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. სურა; 3. ვაისი; 4. ანიონი; 6. მაყრიონი; 9. ლუხუნი; 13. რეპლიკა; 14. ჰეროინი; 15. ბუშელი; 17. რურუა; 18. ტრალი; 20. აკრი.

**თარაზულად:** 1. ტოსკანა; 5. ლაკმე; 7. თარხანი; 8. მორთული; 10. არაყი; 11. სენტო; 12. მოხერი; 16. ლენონი; 17. რახტი; 19. პინო; 21. მექისე; 22. ჯუღელი; 23. ლიკანი; 24. პიექსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ნეპტუნი; 3. ტარიბანა; 4. აპერიტივი; 5. სოტბი; 6. ასკილი; 8. იგუანა; 11. მარტელი; 14. ექსტრაქცია; 15. ჩანადირი; 16. აუდიენცია; 17. ვარძია; 19. ატლანტა; 21. ქინთი; 22. ტვენი.

**თარაზულად:** 1. ანოტაცია; 5. საბა; 7. სვინგი; 9. აპარტამენტი; 10. კამბუზი; 12. ფლორინი; 13. კაიზერი; 16. ავლაბარი; 17. ვანი; 18. ქარვა; 20. კაროტინი; 22. ტვიში; 23. ქაშმირი; 24. ცაგერი; 25. თუთია.

# ოთო ნემსაძე: „მხოლოდ ქართული“ — ბევრი გეშლებათ“



ჯეოსტარის გამარჯვებულმა ოთო ნემსაძემ მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ პროდიუსერს უსაყვედურა იმის გამო, რომ მისი სადებიუტო ალბომისთვის შექმნილი სიმღერები შოუში ისე გაჟღერდა, რომ ოთოსთვის არავის არაფერი უკითხავს:

– არ შეიძლება ამის გატარება და არც გავატარებ.

იმ ვერსიებში, რომლებიც „მხოლოდ ქართულში“ გაჟღერდა და სპეციალურად ჩემი სადებიუტო ალბომისთვის შეიქმნა, თანხაა გადახდილი, თანაც მგონი, რომ სოლიდური. შეგახსენებთ, რომ ეს ალბომი „ჯეოსტარზე“ მოვიგე ბევრი სხვა მატერიალური პრიზის მაგივრად.

მაინტერესებს, ამ გადაცემას არ ჰყავს პროდიუსერი, რომ დარეკოს და გაარკვიოს, ალბომის მფლობელი რა აზრზეა საერთოდ?

რამდენჯერაც ვინმეს უთხოვია, არასდროს არ ვყოფილვარ უარზე, რომ სადმე ეს სიმღერები შესრულებულიყო, უბრალოდ თავხედობაა, საერთოდ რომ არ გახსენებენ იქ, სადაც სისხლი და ხორცი ჩადე ოდესღაც.

არ ვაკეთებ კომენტარს შესრულებების დონეზე, ჩემი პრეროგატივა ნამდვილად არაა, მაგრამ „მხოლოდ ქართული“ – ბევრი გეშლებათ.

# „მხოლოდ ქართული“ ვიოლეტა მგალობლიშვილმა დატოვა



მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართული“ კიდევ ერთმა კონკურსანტმა დატოვა. ჟიურის და მაყურებლის გადაწყვეტილებით, ყველაზე ნაკლები ქულები ვიოლეტამ დააგროვა და კონკურსს გამოეთიშა. მან კონკურსში მამუკა ჩარკვიანის „ირინოლა“ შეასრულა.

ჟიურიში გიორგი უშიკიშვილი მომღერალმა ნუკრი კაპანაძემ შეცვალა. უმაღლესი 60 ქულა ჟიურისგან ნოდარიკო ხუციშვილმა მოიპოვა, მაყურებლის რჩეული კი კვლავ გიორგი კელაპტრიშვილი გახდა.

პროექტში ხუთი ბიჭი და ერთი გოგო – ნუცა თოფურია დარჩა.

# „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალისტები ამიკო ჩოხარაძე და ირინკა კავსაძე არიან





მეგაშოუმ „მხოლოდ ქართულმა“ ფინალისტები გამოავლინა. ნახევარფინალში ერთმანეთს ამიკო ჩოხარაძე, ირინა კავსაძე და რუსკა ქარქაშაძე თავის მეწყვილეებთან ერთად დაუპირისპირდნენ. დაძაბულ შეჯიბრში ფინალისტობა ირინკა კავსაძემ მოიპოვა, ამიკო და რუსკა კი აუთსაიდერები გახდნენ.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, ფინალისტი ამიკო ჩოხარაძე გახდა, რუსკა ქარქაშაძე კი იაკობ ყუფუნიასთან ერთად პროექტს დაემშვიდობა.

ნახევარფინალისტები ჟიურის უცვლელ წევრებთან გოჩა ჩერტკოევთან, ნინო სუხიშვილთან და სოფო შევარდნაძესთან ერთად შორენა ჩერტკოევამაც შეაფასა.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მერვე სეზონის ნახევარფინალში 130.000-ზე მეტი ხმა შევიდა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, ფინალში ირინკა კავსაძე და ოთო ფოლადაშვილი და ამიკო ჩოხარაძე და ჯულიანა ბარგ ნარი იცეკვებენ.

სეზონის გამარჯვებული 31 დეკემბერს პირდაპირ ეთერში გამოვლინდება და ჟიურის და მაყურებლის ერთობლივი გადაწყვეტილებით მერვე სეზონის მთავარ პრიზს მიიღებს.

# ნინო ანანიაშვილი: „იმიტომ არ მივსულვარ ბალეტში, რომ სააკაშვილმა დამიძახა“



აცხადებს პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი და სხვადასხვა ინტერვიუებში მუდმივად აღნიშნავს, რომ ის საქართველოში იმიტომ დაბრუნდა, რომ საჭირო იყო:

– ერთხელ მკითხეს „თქვენ სააკაშვილის გუნდიდან ხართ?“

რას ნიშნავს ეს? მე ბრეჟნევის დროსაც ვცეკვავდი.

იმიტომ არ მივსულვარ ბალეტში, რომ სააკაშვილმა დამიძახა. ბალეტში მანამდე, დიდი ხნით ადრე შევდექი.

საჭირო ვიყავი ჩემს მშობლიურ ქვეყანაში და ამიტომ დავბრუნდი. რითიც შემიძლია, ვეხმარები მას, მაგრამ ვიყავი და ვარ ნინო ანანიაშვილი...

# ზურაბ წერეთელმა თბილისს ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი აჩუქა



მოქანდაკე ზურაბ წერეთელმა წინასაახალწლოდ თბილისს ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი აჩუქა.

ძეგლი ხელოვანმა სპეციალურად გრიბოედოვის თეატრისთვის დაამზადა, რომელიც საზეიმოდ მისმა შვილმა, უმცროსმა ზურაბ წერეთელმა გახსნა. ცერემონიალს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანები ესწრებოდნენ, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, სპორტული კომენტატორი ჯამლეტ ხუხაშვილი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, თეატრალური კავშირის თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორი, რეჟისორი გოგი მარგველაშვილი...

ძეგლის საზეიმო გახსნის შემდეგ გრიბოედოვის თეატრში წარმოდგენილი იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლი „ხოლსტომერი – ცხენის ისტორია“.

# თამარ ივერი მარია კალასისადმი მიძღვნილ კონცერტზე მიიწვიეს



ოპერის მომღერალი თამარ ივერი მსოფლიო ლეგენდის, მარია კალასის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე მიიწვიეს. კონცერტი ნიუ იორკში, კარნეგი ჰოლში გაიმართა.

**თამარ ივერი:**

– ნიუ იორკის კარნეგი ჰოლში ვიზეიმეთ დიდი წარმატება მარია კალასის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე. შესანიშნავი, მცოდნე პუბლიკა, თანამემამულეები დარბაზში, დიდი აპლოდისმენტები! დიდი სულიერი სიხარული იყო ჩემთვის ამ ლეგენდა ქალისთვის სიმღერა!

# ილია მეორის აღსაყდრების 41-ე წლისთავი გამოფენით აღინიშნა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან 41-ე წლისთავი სპეციალური გამოფენით აღინიშნა.

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში, საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საპატრიარქოსთან არსებულმა სამრევლო სკოლებმა, თბილისის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ, წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლამ, თბილისის სახელოსნოებმა და რეგიონებიდან სხვადასხვა ავტორებმა.

გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა საერო და საეკლესიო დანიშნულების ნივთები, სხვადასხვა შესამოსელი და აქსესუარები, ქართული თექა და ბატიკა, ხელნაკეთი თოჯინები, ხატები, თანამედროვე ოსტატების მიერ შესრულებული ხეზე ჭრისა და ქვაზე კვეთის ნიმუშები, ოქრომკედით ნაქარგობა, ქართული აბრეშუმის ბალიშები და თეთრეული, ხევსურული ნაქარგობა.

მისი უწმინდესობის აღსაყდრებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალი იყო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ინდოელი ქალი კრემაციის შემდეგ „აღდგა“

ინდოეთის პენჯაბის შტატის ქალაქ პატიალაში ქალი, რომელსაც მოკლულად თვლიდნენ, საკუთარი დაკრძალვის შემდეგ სახლში დაბრუნდა.

26 წლის ნაინა რანი 8 დეკემბერს გაუჩინარდა. პოლიციაში ვარაუდობდნენ, რომ ის ქმრისგან საყვარელთან გაიქცა, თუმცა სამი დღის შემდეგ ადგილობრივმა ფერმერმა იპოვა ტომარა, რომელშიც ქალის სხეული იდო. მოკლულის სახით ამოცნობა შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა რანის მშობლებმა ის მისი სამკაულებით ამოიცნეს.

ნათესავებმა გარდაცვლილის ცხედარი 15 დეკემბერს მიიღეს და კრემაცია ჩაუტარეს. ოთხი დღის შემდეგ გაირკვა, რომ თავდაპირველი ვერსია სწორი ყოფილა – რანი სახლში საყვარელთან ერთად დაბრუნდა. ასე რომ, ამჟამად ადგილობრივი პოლიცია მოკლული ქალის ვინაობის დადგენას გაკვეთის შედეგებისა და დნმ-ის ანალიზის დახმარებით ცდილობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მამაკაცმა კაზინოში ხუთი დოლარით მილიონი მოიგო



ამერიკის ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში კაზინოს სტუმარმა პოკერში მილიონი დოლარი მოიგო.

მამაკაცი სამბანქოიან პოკერს თამაშობდა და ხუთი დოლარის ოდენობის ბონუსური ფსონი „ექვსი ბანქო“ დადო. მას აგურების ფლეშროიალი ამოუვიდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი კომბინაციის ალბათობა ერთია 20 მილიონთან.

დილერმა მოთამაშეს სამი ბანქო დაურიგა: აგურის ათიანი, ქალი და ტუზი. მას თავად ხელში ჰქონდა აგურის ცხრიანი, ვალეტი და მეფე. კაზინოს წარმომადგენლების მტკიცებით, ამ დაწესებულებაში ეს პირველი ასეთი შემთხვევაა.

# სამგლოვიარო განცხადებები

ენძელა, დარეჯანი, დალი, პეტრე ბერაიები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ

**ირაკლი მოწერელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მოწერელიების ოჯახებს.

კ. ფოცხვერაშვილის სახელობის მე-7 ხელოვნების სკოლა სამძიმარს უცხადებს პედაგოგ ბუჩქი ნუცუბიძეს მეუღლის

**ფაბი ვილიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6617

ევრო — 3.0354

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3633

100 რუსული რუბლი — 3.8909

## ამინდის პროგნოზი 26 დეკემბრისთვის








## 25 დეკემბრიდან

შიო გვეტაძე

# მონანიება

თოვლიან ქუთაისში გვიან ღამით ბოროტმოქმედები ქურდავენ ტყეშელიაძის ბინას. მოულოდნელად იღვიძებს ბინის პატრონი, ქურდებთან ბრძოლას იწყებს და ერთ-ერთ ბანდიტს მძიმედ დაჭრის. ბანდიტი გარბის.

იწყება გამოძიება, რომლის დროს გამოჩნდება კანონიერი ქურდი საშკა ჩერქეზი, რომელიც მთელ იმდროინდელ საბჭოთა ქურდულ სამყაროს შიშის ზარს სცემს.

გამომძიებელი ლევან მინდელი საშკა ჩერქეზს კვალში ჩაუდგება. მათი მოულოდნელი შეხვედრა ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## უეინ რუნიმ ჟოზე მოურინიოზე ისაუბრა



მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა უეინ რუნიმ ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც მოურინიოსთან ერთად მანჩესტერ იუნაიტედში იყო და თქვა, რომ ჟოზესთან მუშაობა არავის სიამოვნებდა.

უფრო მეტიც, რუნიმ გაიხსენა, რომ მოურინიოს გამო მზარეულებიც არ იყვნენ თავისუფლად და თავს ბედნიერად არ გრძნობდნენ:

— გუნდში დაძაბული ატმოსფერო იყო და ვგრძნობდი, ეს დაძაბულობა ჩემზეც გადმოდიოდა. ვფიქრობ, ეს მოურინიოს ბრალი იყო და მიხარია, რომ ის გუნდიდან წავიდა. სოლსკიაერი კარგი კანდიდატურაა და მას შეუძლია, მანჩესტერს წარმატება მოუტანოს.

## კილიან მბაპე საფრანგეთში წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს



კილიან მბაპე საფრანგეთში წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელსაც ეს პატივი ხვდა წილად.

მბაპემ გასული წელი მაღალ დონეზე ჩაატარა და ის მსოფლიოში საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო ოქროს ბურთის კანდიდატებში მან მეოთხე პოზიცია დაიკავა.

მბაპესთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც საფრანგეთმა გაიმარჯვა, მბაპემ კი რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლის გატანა შეძლო, მათ შორის ფინალშიც.

## რეალი ნაბილ ფეკირით დაინტერესდა



მადრიდის რეალი ლიონის ნახევარმცველ ნაბილ ფეკირით დაინტერესდა, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ფეკირის ყიდვა ზაფხულში ლივერპულსაც სურდა, მაგრამ მაშინ ფეკირმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და საბოლოოდ ტრანსფერი ჩაიშალა.

ამჯერად რეალი სერიოზულად არის დაინტერესებული ფეკირის შეძენით და, შესაძლოა, მან ისკოს ადგილი დაიკავოს, რომელიც ზამთარში, სავარაუდოდ, რეალს დატოვებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— ჩემს მდგომარეობაში მყოფისთვის ბევრი და კარგი კვება საჭირო.

— რომელ მდგომარეობაში?

— იმ ადამიანის, რომელსაც ბევრი და კარგად ჭამა უყვარს.

•••

კორპორატიულის მეორე დღეს მამაკაცი თანამშრომელი ქალ თანამშრომელს ურეკავს და ეკითხება:

— აბა, როგორ ხარ, ფისუნიავ?

— ეს რა მომართვაა, როდის აქეთია, რაც შენობით მიმართვაზე გადავედით?!

— მაპატიეთ, ქალბატონო მარინა, უბრალოდ, იმისთვის გირეკავთ, რომ გითხრათ, ჩემს კაბინეტში ტრუსიკი დაგრჩათ.

•••

ორი ნაცნობი ქალი ქუჩაში შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეუბნება:

— ძვირფასო, როგორ მოსუქებულხარ!

— ახლა კიდევ დაკლებული ვარ! შენ ერთი თვის წინ უნდა გენახე! ახლა შენ რომ ხარ, მაშინ სწორედ ასეთივე გასუქებული ვიყავი!

•••

ორი ხანში შესული დიდი ხნის მეგობარი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— რაღაც უნდა გითხრა და, ღვთის გულისათვის, არ გაბრაზდე...

— მითხარი, რაშია საქმე?

— ვიცი, რომ დიდი ხანია ვმეგობრობთ, მაგრამ შენი სახელი ვერაფრით გავიხსენე. ხომ არ შემახსენებდი?

დაქალი რამდენიმე წუთი ნაწყენი გამომეტყველებით უყურებს და ბოლოს ეუბნება:

— სასწრაფოდ გჭირდება?

•••

ეჭვიანი ქმარი ცოლს ეკითხება:

— მილიონ დოლარად ბრედ პიტთან დაწვებოდი?

— დავწვებოდი, თუ მაგ თანხის შეგროვებას შევძლებდი.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, ჩვენს მეგობრებს ყველას უკვე შვილები ჰყავთ, ხომ ხვდები, რაზეც მიგანიშნებ?

— კი, ვხვდები, ახალი მეგობრების პოვნაა საჭირო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## პორნოზე დამოკიდებულ ამერიკელს ქალებთან პრობლემები აქვს



ამერიკელმა ჯ.კ'ემეზიმ ერთ-ერთ გამოცემასთან ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ დაძლია 14-წლიანი პორნოდამოკიდებულება და ახლა უკვე ისევ ახერხებს ნამდვილ ქალებთან ურთიერთობას.

ბავშვობაში ჯ.კ'ემეზი ძალიან იყო გატაცებული კომიქსებით და რვა წლისამ ძიძას შემთხვევით უპოვა ეროტიკული გრაფიკული ლიტერატურა. იმის გამო, რომ ნახატები მსგავსი იყო, ბიჭმა ისიც კომიქსებად აღიქვა. მართალია, მისმა შინაარსმა ძალიან გააკვირვა, თუმცა სიამოვნება მიიღო და მალულად მოზრდილებისთვის განკუთვნილი ჟურნალების კითხვა გააგრძელა. 14 წლისამ პირველად განიცადა ორგაზმი პორნოსგან და მას შემდეგ მასზე დამოკიდებული გახდა.

ამის გამო კი ემეზის ადამიანებთან, კერძოდ, ქალებთან ურთიერთობის დამყარების პრობლემები დაეწყო.

— სირცხვილის შეგრძნება, შიში და დაბალი თვითშეფასება — ეს მომიტანა პორნომ. სკოლაში განდეგილივით ვიყავი, ვფანტაზიორობდი მასწავლებლებთან და მოსწავლე გოგონებთან ურთიერთობაზე, შემდეგ კი მათ წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და ურთიერთობას ვერ ვამყარებდი, — აღიარა ამერიკელმა.

17 წლისას მას განუვითარდა ისეთი დისფუნქცია, რომლის დროსაც ადამიანს მხოლოდ პორნოგრაფია აღაგზნებს. ამის გამო კი ემეზი ვერაფრით ახერხებდა გოგონას გაცნობას. 22 წლის ასაკში ის შეეცადა, ქალს შეხვედროდა, რომელიც ანონიმურ ვებგვერდზე გაიცნო, მაგრამ, როდესაც მის სახლს მიუახლოვდა, ვიღაცამ მის მანქანას ფანჯარა ჩაუმსხვრია. ემეზი ძალიან შეშინდა, სახლში დაბრუნდა, კომპიუტერიდან მოზრდილებისთვის განკუთვნილი ყველა ვიდეო წაშალა და დაიფიცა, რომ პორნოდამოკიდებულებას თავს დააღწევდა.

ის, პირველ რიგში, სავარჯიშო დარბაზში ჩაეწერა და არაქათის გამოცლამდე ვარჯიშობდა, სახლში ჯანსაღ საკვებს იმზადებდა და ყოველდღე დღიურს ავსებდა.

— აღმოვაჩინე, რომ პორნოდამოკიდებულების წლებში საკუთარი ემპათია გავანადგურე. დღიურში საკუთარ ემოციებს აღვწერდი და ეს მეხმარებოდა, რამდენიმე თვეში ქალებში უკვე ვხედავდი ადამიანებს და არა ობიექტებს, რომლებიც სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის იყვნენ განკუთვნილნი, — აღიარა ემეზმა. გარკვეული დროის შემდეგ მას საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნდა ახლა უკვე დააარსა კომპანია, რომლებიც ადამიანებს პორნოდამოკიდებულებისგან გათავისუფლებაში ეხმარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 4. ლომების ჯოგი; 6. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 9. შიში სიახლის, ცვლილებების, პროგრესის წინაშე; 13. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 14. პირველი ქართული წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 15. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. ქეიფი, დროსტარება; 18. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 20. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

**თარაზულად**: 1. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა, სრულდებოდა ახალი წლის პირველ დღეს; 5. ფულის ერთეული სომხეთში; 7. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 8. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ანტონიო გაუდის დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 12. სოფელი ხევსურეთში; 16. მუსლიმთა საერთო სახელწოდება ძველად; 17. ფირმა „ფიატის" მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 19. სვლა ჭადრაკში; 21. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 22. გამოსაკითხი ფურცელი ცნობების შესაგროვებლად; 23. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 24. გია დანელიას კინოკომედია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*